პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 111 (9887) | ოთხშაბათი, 12 მაისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

მრეწველობის მუშაკებმა უნდა გააძლიერონ დახმარება საკოლმეურნეო სოფლისადმი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებათა უმოკლეს ვადაში შესრულება სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი სწრაფი აღმავლობის უზრუნველყოფად საბჭოთა ხალხმა თავის უპირველეს, გადაუდებელ ამოცანად მიიჩნია. აქტიურად ჩაებნენ ამ ამოცანის განაღდებისათვის ბრძოლაში სოციალისტური მრეწველობის მუშაკები, რომლებმაც მძიმე ინდუსტრიის — საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკის ამ საფუძველთა საფუძვლის შემდგომი განმტკიცების, ფართო მოხმარების სამრეწველო და სასურსათო საქონლის სიუხვის მიღწევასთან ერთად მთავარ მიზნად დაისახეს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ყველა დარგის სწრაფი აღმავლობის უზრუნველყოფა.

მრეწველობის მუშაკებმა კარგად იციან, რომ პარტიისა და მთავრობის მიერ მათ წინაშე დასახული დიდი პროგრამა — სახალხო მოხმარების სამრეწველო და სასურსათო საქონლის გამოშვების გაფართოების პროგრამა, აუცილებლად მოითხოვს სოფლის მეურნეობის, როგორც მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის ნედლეულის მიმწოდებელი მთავარი წყაროს სწრაფ აღმავლობას. ამ მაღალი პატრიოტული შეგნებით გააჩაღეს საწარმოთა კოლექტივებმა ურთიერთ შორის სოციალისტური შეჯიბრება საკოლმეურნეო სოფლისათვის დაკვეთათა დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის, ათასობით მაღალკვალიფიციური მოწინავე ადამიანი გაგზავნეს საწარმოებიდან სოფლის მექანიზატორთა რიგების განსამტკიცებლად, მიმდინარე სამუშაოთა შესრულებაში დახმარების გასაწევად, შეფად დაუდგნენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს და კოლმეურნეობებს მიმდინარე წლის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში. თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა საშეფო დიდმის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კოლექტივს მოუწყეს სადურგლო სახელოსნო, გაუმართეს 9 საზეინკლო დაზგა, შეაკეთეს და ახალი ტექნიკით გააძლიერეს მტს-ის სხვა სახელოსნოები. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა მაიაკოვსკის მტს-ს საგაზაფხულო თესვისათვის მზადების პერიოდში გაუგზავნა ორი ლითონდასამუშავებელი ჩარხი, სმინდის კვადრატულ-ბუდობრივად სათესი მანქანის კბილანები, დიდძალი სხვა სამანქანო დეტალები და სატრაქტორო პარკისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილები, დაახმარა თავისი ავტოტრანსპორტი. ასევე ქმედითს დახმარებას უწევს აგარის მტს-ს საქართველოს ფხვნილი შაქრის ქარხნის კოლექტივი, რომელიც ისე წარმართავს საშეფო მუშაობას, რომ საჭიროების შემთხვევაში ყოველთვის ეხმარება აგარელ მექანიზატორებს შეფერხებათა გადალახვაში.

მაგრამ ამასთან ერთად არის იმის მაგალითებიც, რომ ზოგ საწარმოთა ხელმძღვანელები მტს-ებისა და კოლმეურნეობებისათვის შეფობის გაწევის საქმეს აღმაცირად უყურებენ, ფორმალურად უდგებიან. სოფლის მეურნეობის მუშაკებზე შეფობა მიზნათ ისახავს მათთვის დახმარებას არა საერთოდ, არამედ კონკრეტულად ამა თუ იმ ალოს დროს მიშველებას, რათა საქმეს უკეთესად გაართვან თავი, სწრაფად დაძლიონ შეფერხებები, უზრუნველყონ ყველა აგროტექნიკური ღონისძიების მოკლე ვადებში განხორციელება და უხვი მოსავლის მიღება.

რა ამოცანებია ახლა საშეფო მტს-ის ან კოლმეურნეობის წინაშე, რა ხასიათის შეფერხებებია მოსალოდნელი ამ ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში და რით შეუძლია საწარმოს კოლექტივს დაეხმაროს მტს-ს ან კოლმეურნეობას ამ შეფერხებათა გადალახვაში? ეს უნდა იცოდეს ყოველმა შეფმა, იგი ყოველდღე უნდა იყოს თავის საშეფო კოლექტივის მუშაობის კურსში. უამისოდ სოფლის მეურნეობისათვის კონკრეტულ-ოპერატიული დახმარების გაწევა შეუძლებელი იქნება და შეფობა ფორმალობად გადაიქცევა.

საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები საგაზაფხულო სამუშაოების წარმატებით დამთავრებისათვის იბრძვიან, მაგრამ არიან ისეთი მტს-ები, კოლმეურნეობები, რომლებიც საგაზაფხულო სამუშაოთა გეგმის შესრულებაში ჩამორჩნენ. ამ მხრივ მეტად საყურადღებო და მისაბაძი თაოსნობა გამოიჩინეს ქუთაისის მთელ რიგ ინდუსტრიულ საწარმოთა კოლექტივებმა — ბარიტის ქარხანა, საავტომობილო ქარხნის და გზატკეცილთა მეექვსე უბნის კოლექტივებმა, რომლებმაც საგაზაფხულო თესვის დასაჩქარებლად საშეფო კოლმეურნეობებში მიავლინეს საქარხნო წარმოებაში მძიმე ტვირთების ტრანსპორტირებაზე მომუშავე ტრაქტორისტები თავიანთ ტრაქტორებიანად.

საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაჩქარებასთან ერთად სოფლად იწყება მეტად მნიშვნელოვანი ალო — თიბვა, რომლის წარმატებით დამთავრებაზე ბევრად არის დამოკიდებული მეცხოველეობის შემდგომი განვითარება. თიბვის უმოკლეს ვადებში დასამთავრებლად შეფებმა — საწარმოთა კოლექტივებმა ყველა შესაძლებელი დახმარება უნდა გაუწიონ სოფელს. ყოველ ცალკე შემთხვევაში ეს დახმარება სხვადასხვა ხასიათისა იქნება და საქმე ახლა ის არის, რომ შეფებმა იცოდნენ, რა სახის დახმარება ესაჭიროებათ მათს შეფობაში მყოფთ და როგორ უნდა მოაწყონ მათთვის ეს დახმარება. ასევე უნდა ითქვას ისეთი სამუშაოების შესახებ, როგორიც არის ნათესების დამუშავება, მზადება მოსავლის აღებისათვის.

ზოგ საწარმოში მტს-ებისათვის შეფობა ხალისით იკისრეს, რამდენჯერმე მივიდნენ საშეფო სოფლებში როგორც ექსკურსანტები, მაგრამ ხელშესახები შედეგი, პრაქტიკული სარგებლობა ასეთ „შეფობას“ არ მოჰყოლია. 26 კომისრის სახელობის ქარხნის კოლექტივმა აიღო შეფობა სოფელ ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაზე, მაგრამ რა ქმედითი უნდა იყოს ასეთი შეფობა, როცა ქარხნის კოლექტივის წარმომადგენლები თითქმის ორი თვეა არ ყოფილან საშეფო კოლმეურნეობაში და არავითარი წარმოდგენა არა აქვთ იმაზე, თუ რა სახის დახმარება ესაჭიროება კოლმეურნეობას.

საქმის ინტერესი, პარტიის მიერ საბჭოთა ხალხის წინაშე სოფლის მეურნეობის შემდგომი სწრაფი აღმავლობის დარგში დასახული ამოცანის შესრულების უზრუნველყოფა მოითხოვს, რომ საწარმოთა სამეურნეო, პარტიულმა და პროფკავშირულმა ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება მიაქციონ სოფლად საშეფო მუშაობის გაძლიერებას. საწარმოთა პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა საშეფო მუშაობის საკითხები განსახილველად უნდა გამოიტანონ საწარმოო თათბირებზე, მუშათა კრებებზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის მეურნეობისათვის დაკვეთების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებას, რაციონალიზატორთა სამუშაო თემატიკაში იმ საკითხების გათვალისწინებას, რომელთა გადაწყვეტა ხელს შეუწყობს შრომატევადი სასოფლო-სამეურნეო პროცესების მექანიზაციას. სწორედ მასების შემოქმედებითი აზრის მობილიზაციის შედეგად შეძლეს თბილისის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ქარხანაში ტორფსაჭრელი მანქანის შექმნა, რაც საკოლმეურნეო სოფლისა მიიღო, როგორც ძვირფასი საჩუქარი.

საწარმოთა კოლექტივების ვალია გარდაქმნან თავიანთი საშეფო მუშაობა, მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის ბრძოლის გაძლიერებასთან ერთად მეტი, უფრო კონკრეტული და ოპერატიული დახმარება გაუწიონ საკოლმეურნეო სოფელს, ხელი შეუწყონ მუშათა კლასსა და კოლმეურნე გლეხებს შორის ურღვევი კავშირის შემდგომ განმტკიცებას.

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

ზესტაფონი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მეტალურგიულ მრეწველობაში უმწიკვლო მუშაობისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშაკთა ჯგუფი. ამ დღეებში აქ მოხდა ჯილდოების გადაცემა.

ლენინის ორდენი მიიღეს სადნობი საამქროს ოსტატმა მ. ვაშაკიძემ, სადნობი საამქროს მექურემ ა. კვინიკაძემ, მეოთხე საამქროს მუშამ ნ. ლუტიძემ.

შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცა 20 კაცს.

მედალი „შრომითი მამაცობისათვის“ მიიღო 51 კაცმა. (საქდესი).

ჩვენს დიად საამშოგბლოში

★

მოსკოვი

მოსკოვის უნივერსიტეტის ფოსტა

უამრავ კორესპონდენციას იღებს ყოველდღიურად მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი. აქ მოდის წერილები იაპონიიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ინდოეთიდან, ბულგარეთიდან და სხვ. მაგალითად, ტოკიოს უნივერსიტეტის სტუდენტები მოსკოველ სტუდენტებს წერენ, თუ როგორ მუშაობს მათთან სსრ კავშირის შემსწავლელი წრე.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების აკადემიები, ინსტიტუტები, უნივერსიტეტები მოსკოვის უნივერსიტეტს უგზავნიან წიგნებს და ძვირფას კოლექციებს, მეცნიერები და მწერლები უძღვნიან თავიანთ შრომებსა და ნაწარმოებებს. უამრავი წერილი და ამანათი მოსდის უნივერსიტეტს საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან. აქ გზავნიან წერილებს, კოლექციებს, ნიადაგების ნიმუშებს, ჰერბარიუმებს, თესლს და სხვ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კოლექტივისაგან უნივერსიტეტმა მიიღო ადგილობრივი მცენარეების შესანიშნავი ჰერბარიუმი.

„წავიდეთ სოხუმში“

დედაქალაქის ეკრანებზე დიდი წარმატება ჰქონდა ფერად დოკუმენტალურ ფილმს „წავიდეთ სოხუმში“, რომელიც წარმოადგენს თავისებურ კინომგზაურობას.

ამ ფერად კინონარკვევში, რომელიც დადგა დოკუმენტალური ფილმების ცენტრალურმა სტუდიამ, ნაჩვენებია ერთ-ერთი მოგზაურობა, რომელიც შარშან შემოდგომაზე მოაწყო ავტომოტოკლუბმა. მოსკოველთა ერთი ჯგუფი საკუთარი მანქანებით მიდის დედაქალაქიდან სოხუმში. ეკრანზე მოჩანს მთელი გზა, დაწყებული მოსკოვის საბჭოს მოედნით. შემდეგ ნაჩვენებია მოსკოვის გარეუბნების ბუნება, „ყვავილეთი“ უკრაინა, მეშახტეთა დონბასი, ყუბანის სტანიცები, ქალაქი სოჭი, გაგრა და, ბოლოს სოხუმი, მისი ღირსშესანიშნავი ადგილები.

კინონარკვევებად ერთად იკითხება ლევ კასილის სადიქტორო ტექსტი.

სანატორიუმი მაღაროელთა ბავშვებისათვის

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა დამტკიცა სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს დიდი სანატორიუმის პროექტი. სანატორიუმის მშენებლობა დაიწყება წელს სოხუმში და გათვალისწინებულია 320 ბავშვისათვის. პროექტის ავტორია არქიტექტორი ვ. მესხიშვილი.

ახალ სანატორიუმში შევა შენობათა მთელი კომპლექსი. სანატორიუმი იმუშავებს მთელი წლის განმავლობაში. ბავშვები ზამთრობით რომ არ მოსცდნენ სწავლას, აქ იმუშავებს არასრული საშუალო სკოლა.

შენობათა კომპლექსი შეიცავს პიონერთა სახლს სხვადასხვა კაბინეტებითა და ლაბორატორიებით, სასპორტო დარბაზს, მუზეუმს, ავიამოდელიზმისა და კონსტრუირების სახელოსნოებს, საცხოვრებელ კორპუსებს, პოლიკლინიკებს, საადილოებს. აქ მოწყობილი იქნება ღია და დახურული საცურავი აუზები ზღვის წყლით, სტადიონი, კალათბურთის და ჩოგბურთის მოედნები.

სანატორიუმი აშენდება ქალაქის ჩრდილოეთ განაპირა უბანში, ეგრეთწოდებულ „ბატარიის პლატოზე“. მისი ტერიტორია დაიკავებს 26 ჰექტარ ფართობს. აქ გაშენდება ლამაზი პარკი. სანატორიუმის მშენებლობაზე დაიხარჯება 26 მილიონი მანეთი.

ს. რიჟინაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

★

ოპერა „ბოგდან ხმელნიცკი“ სსრ კავშირის დიდი თეატრის სცენაზე

კიევის ტ. გ. შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დადგმა

10 მაისს კიევის ტ. გ. შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა სსრ კავშირის დიდი თეატრის სცენაზე დადგა ოპერა „ბოგდან ხმელნიცკი“ (მუსიკა კ. დანკევიჩისა, ლიბრეტო ვ. ვასილევსკაისი და ა. კორნეიჩუკისა), რომელიც თეატრის კოლექტივმა მოამზადა ღირსშესანიშნავი თარიღის — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისათვის.

მკაფიო, გმირული სპექტაკლი გადაგვიშლის იმ ბრძოლის ისტორიის შესანიშნავ ფურცელს, რომელსაც ეწოდა უკრაინელი ხალხი დამოუკიდებლობისათვის, მოძმე რუს ხალხთან შეერთებისათვის.

კომპოზიტორ კ. დანკევიჩის ღრმა რეალისტური და მდიდარი შინაარსის მუსიკა ამასთან გამორჩეულ ნამდვილი ხალხურობით. ოპერაში ფართოდ გამოყენებულია უკრაინული და რუსული ხალხური სიმღერების შესანიშნავი მელოდიები.

ბოგდან ხმელნიცკის ცენტრალური პარტია ბრწყინვალედ შეასრულა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა მ. გრიშკომ, რომელმაც გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწისა და მხედართმთავრის მკაფიო სახე შექმნა.

მაღალი ვოკალური კულტურა და სცენიური ოსტატობა ცხადყო სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ბ. გმირიამ სახალხო გმირის — მაქსიმ კრივონოსის როლში.

დიდი რუსეთის ელჩის კეთილშობილი სახე შექმნა უკრაინის სსრ დამსახურებულმა არტისტმა ვ. მატვეევმა.

ვარვარას როლი დიდი ჩაწვდომით შეასრულა უკრაინის სსრ დამსახურებულმა არტისტმა ნ. გონჩარენკომ. მსმენელებმა მხურვალედ მიიწონეს უკრაინის სსრ სახალხო არტისტი ვ. ბორიშენკო, რომელმაც ჩინებულად იმღერა უკრაინის დამოუკიდებლობისათვის თავდადებული მებრძოლის ბოგუნის პარტია. უკრაინის სსრ დამსახურებულმა არტისტმა ლ. რუდენკომ ნიჭიერად შეასრულა სოლომიას როლი. დიდი წარმატება ჰქონდა უკრაინის სსრ სახალხო არტისტს ნ. რომენსკის (დიაკი გავრილა).

კარგი ხმა და სცენიური მონაცემები აქვს უკრაინის სსრ დამსახურებულ არტისტს ლ. ლობანოვა-როგაჩევას, რომელმაც შეასრულა ელენეს რთული პარტია. მაღალ დონეზე შეასრულა ლიზოგუბის როლი ხ. კოგანმა.

სასტიკი და ქედმაღალი პოლონელი გეტმანის პოტოცკის სახე შექმნა უკრაინის სსრ სახალხო არტისტმა მ. ჩასტომ. სახალხო გმირის, სამშობლოსათვის თავდადებული ტატრის როლი კარგად შეასრულა უკრაინის სსრ დამსახურებულმა არტისტმა პ. გაიჩუკმა.

სპექტაკლში დიდი წარმატება ჰქონდათ უკრაინის სსრ დამსახურებულ არტისტს ნ. შოხტაკს, მსახიობებს დ. გნატიუკს, ი. ოტროშენკოს, ი. კლიაკუნს, ა. ოხრიმოვიჩს, ა. გროძინსკის, ს. ივაშჩენკოს, ი. კრავჩენკოს, ტ. ფეოკტისტოვს, ვ. ბაბენკოს, კ. ცეპერნიკს, ვ. პარიკიას.

სსრ კავშირის სახალხო არტისტმა მ. კრუშელნიცკიმ და უკრაინის სსრ სახალხო არტისტმა ვ. პირადოვმა ნიჭიერად განახორციელეს ოპერის დადგმა.

დირიჟორმა უკრაინის სსრ სახალხო არტისტმა ვ. პოკროვსკიმ უზრუნველყო სპექტაკლის მაღალი მხატვრული დონე.

მაყურებელი გაახარა ლამაზმა გაფორმებამ, რომელიც სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა ა. პეტრიცკიმ შეასრულა. შესანიშნავად მღეროდა კიევის ოპერის თეატრის გუნდი (მთავარი ლოტბარი ვ. კოლეხნიკი) და უკრავდა ორკესტრი.

სპექტაკლს, რომელსაც დიდი წარმატება ჰქონდა, დაესწრნენ ამხანაგები გ. მ. მალენკოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიკოიანი, მ. გ. პერვუხინი, მ. ა. სუსლოვი, პ. ნ. პოსპელოვი, ნ. ნ. შატალინი. (საკდესი).

ქალაქ მოსკოვის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკთა თათბირი

10 მაისს კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა ქალაქ მოსკოვის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკთა თათბირი.

მოხსენება დედაქალაქში ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ გააკეთა მოსკოვის საბჭოს აღასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ლოგმანოვმა.

ასრულებენ რა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ, მოსკოვის ვაჭრობის მუშაკებმა ერთგვარ წარმატებებს მიაღწიეს. შარშან საქონელბრუნვა 1952 წელთან შედარებით გაიზარდა 18 პროცენტით. მიმდინარე წლის პირველი ოთხი თვის განმავლობაში იგი გაიზარდა 29,2 პროცენტით გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით.

კამათში გამოსულებმა მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნები გამოთქვეს მოსკოვის საბჭოსა და რუსეთის სფსრ ვაჭრობის სამინისტროს მისამართით, რომლებიც საკმაო ყურადღებას არ აქცევენ დიდი მოთხოვნილების საქონლის გეგმაზომიერ შეზიდვას სავაჭრო ქსელში. სერიოზული საყვედური განუცხადეს თათბირის მონაწილეებმა ფართო მოხმარების საქონლის მრეწველობის საწარმოებს, რომლებიც ყოველთვის არ ითვალისწინებენ მომხმარებელთა მოთხოვნას.

თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მიმართვა ჩვენი ქვეყნის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ყველა მუშაკისადმი, რომელშიც მოუწოდებენ ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება, გაუმჯობესონ ყოველი მაღაზიისა და სასადილოს მუშაობა და მნიშვნელოვნად აამაღლონ ვაჭრობის კულტურა.

მოსკოვის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ქსელის მუშაკებმა იკისრეს სოციალისტური ვალდებულებანი და გადაწყვეტეს ვადამდე შეასრულონ 1954 წლის საქონელბრუნვის გეგმა, მიაღწიონ მიმდინარე წელს იმას, რომ მიმოქცევის ხარჯები 75 მილიონი მანეთით შეამცირონ გეგმასთან შედარებით.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრმა ამხ. ა. ი. მიკოიანმა. (საკდესი).

ჩვენი ქვეყნის მოხდვაწეთა ყურადღებას

პეტროზავოდსკი. [illegible] ... თის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და კოლმეურნეობებში, რომლებსაც ისინი ემსახურებიან, მოხნეს ათი ათას ჰექტარზე მეტი ყამირი მიწა. ახალ მიწებზე გაჩაღდა თესვა. ამ მიწებზე უმთავრესად ითესება თავფუხა. თესვას ახორციელებენ ვიწრო მწკრივებად და ჯვარედინი წესით, თესვის გადიდებული ნორმით, შეწამლული და მზეზე გამთბარი თესლით.

ვილნიუსი. ვეისეიკის რაიონის კოლმეურნეობებმა პირველებმა შეასრულეს ლიტვაში მარცვლეული კულტურების საგაზაფხულო თესვის გეგმა, გარდა წიწიბურისა. გაზაფხულის განმავლობაში რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელებმა აითვისეს 600 ჰექტარი ახალი მიწა და დათესეს ხორბალი, შვრია და ქერი.

გაზაფხულის, ზაფხულისა და შემოდგომის განმავლობაში რესპუბლიკაში მოხნავენ 35 ათას ჰექტარ გამოუყენებელ მიწებს.

აჯამაკა (ციროვოგრადის ოლქი). მწვანე კვადრატებით იფარება ფართობები, სადაც დათესილია სათხნესი კულტურები. 5 მაისს რაიონის კოლმეურნეობებმა დაიწყეს მზესუმზირას მასობრივი დამუშავება. აჯამკის მტს-ის მექანიზატორებმა გადაწყვიტეს ძოახლინონ იმ სათიხნესი კულტურების დამუშავების მთლიანი მექანიზაცია, რომელთა ფართობიც წინა წელთან შედარებით ერთიორად და უფრო მეტად გადიდდა. მწკრივთაშორისების დამუშავებაზე, გარდა 20 სატრაქტორო კულტივატორისა, მუშაობს ასი ცხენის გუთანი, კიდევ მისამბელების საშუალებით აკომპლექტებენ სატრაქტორო წვეის ორი-სამი ასეთი გუთნისაგან შემდგარ აგრეგატებს.

ვოლოგდა. ოლქში დაიწყო ხვნა და მარცვლეული შერჩევითი თესვა. ოლქის ათმოსავალი ნაწილის მექანიზატორებმა, სადაც ძირითადი სასოფლო-სამეურნეო რაიონებია, მოხნეს პირველი რამდენიმე ათასი ჰექტარი. ტრაქტორისტების უმრავლესობა გადამეტებით ასრულებს ცვლის დავალ ებს.

ოლქის ყველა მტს-ი პირველად არის უზრუნველყოფილი ტრაქტორისტებით ორ ცვლად მუშაობისათვის. ხვნისა და თესვის ყველა სამუშაოს სამ მეოთხედს შეასრულებენ მტს-ების ძალებით.

ვორონეჟი. ოლქის მეტი წილი მტს-ების მექანიზატორებმა წარმატებით დამთავრეს საადრეო მარცვლეული და ტექნიკური კულტურების თესვა და ანეულს ხნავენ. 5 მაისს ხენა დაამთავრეს სემილუკისა და ყარაბუგის მტს-ებმა.

ანეულს ხვნისათვის ბევრ მტს-ში მოწყობილია ორ ცვლად მუშაობა. (საკდესი).

მოწყობილობა საზოგადოებრივი კვების საწარმოებისათვის

ხარკოვი. (საკდესი). სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს ქარხანა „მეხანოლიტი“ უშვებს სამზარეულო მოწყობილობას. ჩრდილოეთ ყაზახეთსა და ალტაის მხარეში შექმნილი ახალი საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების სასადილოებს გაუგზავნა ათობით ორთქლის ქვაბი, პროდუქტების გადამმუშავებელი მექანიზმები, კარტოფილსაფცქვნელები, საკეტი მანქანები. 5 მაისს ყაზანეთის სსრ კუსტანაისა და აკმოლინსკის ოლქებში გაიგზავნა ასი მექანიკური ბოსტნეულსაკეტი.

ახლა ქარხანაში მზადდება 30-ზე მეტი ტიპის მანქანები ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისათვის. მათი მნიშვნელოვანი რაოდენობა განკუთვნილია ახალი მიწების ათვისების რაიონებისათვის.

სანიმუშოდ მოვაწყოთ საგაზაფხულო სამუშაოები



გარეუბნის რაიონის სოფელ მარტყოფის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მარტყოფელმა მექანიზატორებმა კოლმეურნეებთან ერთად ფართოდ გააჩაღეს პამიდორის ჩითილის კვადრატულ-ბუდობრივად რგვა. სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ): კოლმეურნეები სონია ითაშვილი, სალომე ითაშვილი, თ. ძამაშვილი, ე. სტეფანაშვილი, მ. ხუცუნაშვილი და მ. ითაშვილი ახალი მანქანით პამიდორის ჩითილს რგავენ კვადრატულ-ბუდობრივად.

ფოტო შ. გოკაძისა.

შაქრის ჭარხლის კლანჭაციებში

გორი. (საკ. კორ.). აპრილის წვიმების შემდეგ საკოლმეურნეო მინდვრებში სწრაფად აღმოცენდა შაქრის ჭარხლის ნათესი. ახლა პლანტაციებში მიმდინარეობს მცენარის მწკრივთა შორის პირველი გაფხვიერება. სოფელ ცვახვრელის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის იმ ბრიგადამ, რომელსაც ივანე მირუაშვილი ხელმძღვანელობს, დაამთავრა შაქრის ჭარხლის მწკრივთა შორის პირველი გაფხვიერება. ცვახვრელელ კოლმეურნეები იმისათვის იბრძვიან, რომ 20 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 900 ცენტნერი შაქრის ჭარხალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 380 ცენტნერისა.

შაქრის ჭარხლის მწკრივთა შორის გაფხვიერება კარგად მიმდინარეობს აგრეთვე სოფელ სკრის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც უკვე გაფხვიერებულია ნათესის ნახევარზე მეტი.

ნათესების დამუშავება დაიწყო

ქარელი. (საკ. კორ.). კოლმეურნეობებში წელს აგროტექნიკურ ვადებში, მაღალხარისხოვნად დათესეს შაქრის ჭარხალი. იგი უკვე აღმოცენებულია და დაიწყო მწკრივთა შორის პირველი მსუბუქი გაფხვიერება.

შაქრის ჭარხლის პლანტაციის დამუშავებას რაიონში პირველი შეუდგა სოფელ ურბნისის კოლმეურნეობა „სანათლე“. აქ ჭარხალი 40 ჰექტარზე აქვთ დათესილი და ყველგან თანაბრად არის აღმოცენებული. კოლმეურნეობამ 10 ჰექტარზე ნიადაგი მსუბუქად გაფხვიერა. შაქრის ჭარხლის პლანტაციის დამუშავებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ბრიგადირი ნ. წაველიძე და მერგოლური შ. ინდოეშვილი. ამ უკანასკნელს ნაკისრი აქვს ვალდებულება წელს სამი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 600 ცენტნერი შაქრის ჭარხალი ნაცვლად 210 ცენტნერისა. შაქრის ჭარხლის ნათესების დამუშავებას შეუდგნენ სოფელ რეოსის, ბეშნისის კოლმეურნეობები.

მექანიზატორთა პროფესიების შეთავსება

სტალინირი. (საკ. კორ.). ქსუისის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მექანიკოსები კარგად ეუფლებიან სხვადასხვა პროფესიებს. ტრაქტორისტმა გ. ბესთაევმა, რომელიც გასულ წელს „ნ-ტის“ მარკის ტრაქტორს მართავდა, ზამთრის პერიოდში საუკეთესოდ შეისწავლა კომბაინის მატერიალური ნაწილები და მართვა. მოსავლის აღების დროს გ. ბესთაევი კომბაინზე იმუშავებს.

ტრაქტორისტი ა. ბერუაშვილი დაეუფლა მეცხოველეობის ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას. მექანიკოსმა მიხეილ ხანიკაევმა შეისწავლა ტრაქტორის, კომბაინისა და ავტომანქანის მართვა. იგი დაეუფლა სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი წესით სათესი მანქანის მართვას.

ბოსტნეულის უხვი მოსავლისათვის

ცხაკაია. (საკ. კორ.). ბევრმა კოლმეურნეობამ შარშან ცუდი მოვლა-პატრონობის შედეგად ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების დაბალი მოსავალი მოიყვანა, სანაბეჭროდაც ვერ შეასრულა დავალება.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების საფუძველზე წელს მეშაობა ახლებურად მოაწყეს, განხორციელებულ იქნა მრავალი ღონისძიება მოსავლიანობის მკვეთრი გადიდებისათვის, თვალსაჩინოდ გაიზარდა ბოსტნეულის სათესი ფართობი.

სოფელ ზხეფის კოლმეურნეობაში ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისათვის 8,1 ჰექტარია განკუთვნილი. პამიდორს, ბადრიჯანს, წიწაკას და სხვ. 5 ჰექტარზე დარგავენ. კოლმეურნეობაში ჩამოყალიბებულია მებოსტნეობის რგოლი, რომელსაც ხელმძღვანელობს ი. კვირკველია. რგოლმა უხვი მოსავლისათვის ზრუნვა შემოდგომიდანვე დაიწყო. აქ სანიმუშოდ მოწყობილია კვალსამბურის 100-ზე მეტი ჩარჩო, სადაც გამოყვანილია ბოსტნეულის ჩითილი და მიმდინარეობს მისი რგვა. რგოლს მიცემული ჰქონდა დავალება დამზადებინა 10 ათასი ტორფნეშომპალას ქოთანი, ფაქტიურად დაამზადა 15 ათასი.

წარმატებით მიმდინარეობს ბოსტნეული კულტურების რგვა ახალსოფლის სტალინის სახელობის, ძველი სენაკის სტალინისა და ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებში.

სასუქის შეტანა თვითმფრინავებით

საგარეჯო. (საკ. კორ.). სოფელ სართიჭალის მე-19 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში საშემოდგომო ნათესები გეგმით 2.000 ჰექტარზე უნდა გამოკვებონ. ეს სამუშაო მთლიანად თვითმფრინავებით სრულდება.

მფრინავები ამხ. მაჩაბელი და ბარაშკინი დღეში 60-მდე გაფრენას ახდენენ თბილისიდან, და სასუქი შეაქვთ 70 ჰექტარამდე ფართობზე. ათოდ დღეში 4 ფვითმფრინავით კოლმეურნეობის 1.400 ჰექტარი საშემოდგომო ნათესები გამოიკვება. იგივე სამუშაო რომ ხელით შესრულებულიყო, სულ ცოტა 180 კაც-დღე დასჭირდებოდა.

შეუსუსტებელი ყურადღება პარტიულ განათლებას

რედაქციაში შემოსული წერილების მიმოხილვა

სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში დასასრულს უახლოვდება. რედაქციაში შემოსული წერილები მოწმობენ, რომ პარტიული ორგანიზაციები სერიოზულად მოეკიდნენ სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრებისათვის მზადებას. ადგილებზე ეწყობა სემინარები, კონსულტაციები, თათბირები, რომლებზეც პროპაგანდისტები საჭირო რჩევა-დარიგებას იღებენ.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიული ორგანიზაცია დიდ ყურადღებას აქცევს კომუნისტების პოლიტიკურ განათლებას და იბრძვის პარტიული განათლების ქსელში დაშვებულ დამახინჯებათა ბოლომდე აღმოფხვრისათვის. ამაზე რედაქციას წერს მკითხველი **გ. გელაშვილი.**

„ჩვენი პარტიული ორგანიზაცია, — აღნიშნავს წერილის ავტორი, — გატაცებული იყო პარტიული განათლების სისტემაში კომუნისტთა საყოველთაო „ჩაბმით“. პარტიული განათლების სკოლებსა და წრეებში ჩაბმულ იქნენ ხნიერი კომუნისტებიც, რომლებსაც არ შეეძლოთ მეცადინეობაზე სისტემატური დასწრება. პოლიტიკურ სწავლებაში კომუნისტთა ამ საყოველთაო „ჩაბმამ“ გამოიწვია პროპაგანდისტთა და კონსულტანტთა რიცხვის ხელოვნური გადიდება. ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა გადამჭრელი ზომები მიიღო არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად“.

როგორც პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე **ი. ხაბალაშვილი** გვატყობინებს, ოლქში სულ უფრო მაღლდება პოლიტსკოლებისა და წრეების მუშაობის იდეური დონე. ოლქის პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო პარტიის სტალინირის საქალაქო კომიტეტთან მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტის გახსნა. პარტიის საოლქო კომიტეტთან მიმდინარე სასწავლო წელს პირველად შეუდგა მუშაობას პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და კომკავშირული აქტივის სემინარი.

წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ პარტიის რაიკომებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გააძლიერეს ხელმძღვანელობა კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური მომზადებისადმი. პარტიული განათლების ყველა ფორმაში მთავარი ყურადღება ექცევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების მასალების შესწავლას.

„მაგრამ პარტიულ პროპაგანდაში, — განაგრძობს ავტორი, — ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. კერძოდ არადამაკმაყოფილებელია პარტიის რაიკომების ხელმძღვანელობა პროპაგანდისტთა კადრებისადმი. ასე ითქმის, მაგალითად, პარტიის ზნაურის რაიკომზე, რომელიც არ იბრძვის პროპაგანდისტთა სემინარების მუშაობის სათანადო დონეზე დაყენებისათვის“.

გაზეთის საკუთარი კორესპონდენტი **დ. პაიჭაძე** ქედის რაიონიდან გვწერს სკკპ ისტორიის შემსწავლელი ძირითადი ტიპის წრის მეცადინეობაზე. ამ წრეში, რომელიც სოფლის მეურნეობის რაიონულ სამმართველოსთან არსებობს, ბევრი კომუნისტი ფორმალურად ირიცხება. მაგალითად, კომუნისტ ა. ბარამძეს გასული წლის 4 დეკემბრიდან მიმდინარე წლის 15 მარტამდე გაცდენილი აქვს 9 მეცადინეობა. ამავე პერიოდში 8 მეცადინეობა გააცდინა კომუნისტმა ა. შარაძემ. მსმენელთა გამოუცხადებლობის გამო წრეში მეცადინეობა ორჯერ ჩაიშალა.

კოლმეურნე გლეხობა დაუცხრომლად იბრძვის პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა განსახორციელებლად. კომუნისტები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებზე მუშაობენ, ყოველდღიურად იმაღლებენ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონეს. ამ მხრივ მისაბაძია ახალციხის რაიონის დაბა ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის კომუნისტთა მაგალითი. წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობაში გამოირჩევიან კომუნისტები — მეცხოველეობის ფერმის გამგე ი. გოზალიშვილი, აგრონომი ვ. დიასამიძე, კოლმეურნეები ს. ასპანიძე და რ. ჩიტაძე. დამოუკიდებლად მომუშავეებს ნაყოფიერ დახმარებას უწევს კონსულტანტი გ. ივანიძე. ამის შესახებ რედაქციას ატყობინებს პარტიის ახალციხის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე **ს. ხანიკიძე.** იგი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას პროპაგანდისტული მუშაობის ნაკლოვანებებზე, რაზეც ამ დღეებში იმსჯელა პარტიის რაიკომის ბიურომ და დასახა სათანადო ღონისძიებანი.

მკითხველი **ი. თოფურია** იწერება პარტიის აბაშის რაიკომთან არსებულ პროპაგანდისტთა სემინარის ნაყოფიერ მუშაობაზე. სემინარში, რომელსაც დ. ჩაგანავა ხელმძღვანელობს, გაერთიანებულია 25 პროპაგანდისტი. მეცადინეობა მომზადებულად ეწყობა, საკითხების განხილვაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ პროპაგანდისტები ვ. შეროზია, მ. ნადარეიშვილი, ბ. ღვაბერიძე, პ. კიზირია და სხვები.

პარტიული განათლების შემდგომი გაუმჯობესების საკითხებზე და ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე რედაქციას წერილები გამოუგზავნეს აგრეთვე მკითხველებმა **ა. ჭუჭულაშვილმა** (სიღნაღი), **ნ. კუზნეცოვმა** (ქ. ფოთი), **კ. მორგოშიამ** (წალენჯიხა) და სხვებმა. ისინი თავიანთ წერილებში ხაზს უსვამენ იმას, რომ ამჟამად გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს სასწავლო წლის მაღალ იდეურ დონეზე დამთავრებისათვის.

პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის დამთავრებამდე ცოტა დრო დარჩა. ამოცანა ის არის, რომ ეს დრო მაქსიმალურად გამოვიყენოთ, ორგანიზებულად დავამთავროთ სასწავლო წელი პარტიული განათლების ქსელში.

მოსავალი მაღალი და უკეთესი

მოდის მხოლოდ დროზე ხვნით და დროზე თესვით

★ ★

„კომუნისტისა“ და რაიონული გაზეთების რეიდი

სუსტად ნერგავენ მოსავლიანობის გაზრდების პროგრესულ ღონისძიებებს

ბათუმის რაიონში გაჩაღდა ჩაის ფოთლის კრეფა. კრეფას პირველნი შეუდგნენ სოფელ ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრები. **სურათზე:** მეხუთე ბრიგადის ფარეთობზე ფოთოლს კრეფენ ი. ვარშანიძე და უ. ვარშანიძე, პირველ დღეს თვითეულმა მათგანმა მოკრიფა 35 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ფოტო ნ. ანასტასიევისა.

◁ ★ ▷

მოწინავე მკრეფავები

გალი. („კომუნისტის“ **კორ.**). რაიონის ზედა ზონის მეჩაიე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მასობრივად შემოვიდა ჩაის ფოთოლი. უკვე მოკრეფილია 80 ტონა ნედლეული.

მოწინავე მეჩაიეები კრეფის დღიურ ნორმას ორმაგად და სამმაგად ასრულებენ. სოფელ ნარინჯოვნის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველმა ბ. გელანძიამ 9 მაისს მოკრიფა 60 კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი, ჩ. აბაშიამ — 54 კილოგრამი, ა. რეკლამ — 43. კოლმეურნეობაში ერთ დღეს მოკრიფეს 4 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, სულ 10 ტონა.

ოქუმელი მეჩაიეები ნაოელა, იმენა და ლაისო ბელსკერიები კრეფის დღიურ ნორმას 250-300 პროცენტით ასრულებენ. ამ სოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა მოკრიფეს 20 ტონა პირველი ხარისხის ფოთოლი. ჩაის ყოველდღიური კრეფა ორგანიზებულად მიმდინარეობს ავრეთვე ჭუბურხინჯის სტალინის სახელობის და კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობებში.

ჩაის ფოთლის კრეფა მასობრივად ჩაღდება

ჩხოროწყუ. („კომუნისტის“ **კორ.**). კოლმეურნეობათა უმრავლესობაში მასობრივად დაიწყო ჩაის ფოთლის კრეფა. კოლმეურნეობებში უკვე მოკრეფილია 97 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მარტო ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში — 7.944 კილოგრამი.

სოფელ ხაბუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში გაჩაღდა ჩაის კრეფა. მოკრეფილია ოთხი ათას კილოგრამამდე ჩაის ფოთოლი, ხოლო ამავე სოფლის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში — სამ ათასამდე კილოგრამი. კრეფას მასობრივად შეუდგნენ ქვედა ჩხოროწყუს კოლმეურნეობის მეჩაიეები.

ლესიჭინის და ჩხოროწყუს ფაბრიკებმა უკვე გამოუშვეს ჩაის პირველი პროდუქცია.

ქუთაისელ მეჩაიეთა პლანტაციებში

ქუთაისი. (**საკ. კორ.**). მეჩაიე კოლმეურნეობები შეუდგნენ ჩაის ფოთლის კრეფას. ორგანიზებულად გავიდნენ საკრეფად სოფელ ოფურჩხეთის სტალინის სახელობის და ორჯონიკიძის სახელობის, სოფელ ბარდუბნის ედანოვის სახელობის კოლმეურნეობები. უკვე მოკრეფილია თორმეტი ტონა ჩაის ფოთოლი.

რაიონის მეჩაიეებმა გადაწყვიტეს წელს მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ სულ მცირე 2.600 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

> მოსავლისთვის დაშქრობაში
> ქაღი არის დიდი ძაღა,
> სასახელო შრომა მინდვრად
> მას სამშობლომ დაავალა!

მოწინავე კოლმეურნეობები დროულად მოემზადნენ თესვისათვის. ახლა მაქსიმალურად იყენებენ მუშაობისათვის თვითეულ დღეს და მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ საგაზაფხულო სამუშაოების შესრულებაში. სოფელ საკრაულას მაიაკოვსკის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. კიკნაველიძე) გასულ წელს ვენახის მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 87 ცენტნერი ყურძენი მიიღო. წელს უფრო მონდომებით შრომობენ, რათა მოიყვანონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავალი. აქ შრომისუნარიანი ყველა კოლმეურნე აქტიურად მონაწილეობს საგაზაფხულო სამუშაოებში და დიდი გადაკარბებით ასრულებს ყოველდღიურ ნორმებს.

სამწუხაროდ, რაიონში ასეთი მოწინავე კოლმეურნეობები ცოტაა. კოლმეურნეობათა უმრავლესობაში ნელი ტემპით მიმდინარეობს ვენახების ძირების გამობარვა და გამოთოხნა. სოფელ ზეგანის კიროვის სახელობის და სოფელ ხახის კოლმეურნეობებს ეს სამუშაო სანახევროდაც არა აქვთ შესრულებული.

რაიონის კოლმეურნეობათა უმრავლესობას ვაზის მყნობისათვის დიდი რაოდენობით აკლია საძირე მასალა და ახალი ვენახის გაშენებისათვის ვაზის ნერგი. შეუწყნარებლად ჭიანურდება ვენახების აკვრა, ვენახებში მინერალური და ორგანული სასუქების შეტანა. სოფელ მეორე ობჩის ორჯონიკიძის სახელობის, სოფელ ზეგანის კიროვის სახელობის და ბულგანინის სახელობის, სოფელ ხახის კოლმეურნეობებს ფართობებზე არ შეუტანიათ გეგმით გათვალისწინებული მინერალური სასუქები. რაიონში ამჟამად შემოსაზიდია 366 ტონა მინერალური სასუქი.

კოლმეურნეობებში არ არის მოწყობილი ნაკელსაცავები. ნაკელის, ამ ძვირფასი სასუქის, შენახვასა და მოვლას აქ უგულებელყოფენ. ნაკელის დიდი რაოდენობა მიმობნეულია მეცხოველეობის ფერმებთან და ახლა უძნელდებათ მისი დროულად შეტანა ვენახებში.

კოლმეურნეობები ჩამორჩნენ საგაზაფხულო ხვნასა და თესვაში. ჯერ კიდევ რამდენიმე ასეული ჰექტარი აქვთ მოსახნავი, ხოლო დასათესი — უფრო მეტი. თუ ასეთი ტემპით გაგრძელდა მუშაობა, ალბათ აქ ივნისშიც უნდა თესონ.

კოლმეურნეობების დიდი ნაწილი მოუმზადებელი შეხვდა სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად თესვას. სოფელ ფერასთის სტალინის სახელობის და სოფელ როხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებში იმის გამო, რომ ფართობები მომზადებული არ იყო და კვადრატულ-ბუდობრივად სათესი მანქანები წესრიგზე არ აღმოჩნდა, ტრაქტორები ორი დღის განმავლობაში მოცდნენ. გეგმით ათასი ჰექტარი კვადრატულ-ბუდობრივი წესით უნდა დათესოს. დათესილია უმნიშვნელო პროცენტი.

სოფელ წითელხევის მოლოტოვის სახელობის და ვოროშილოვის სახელობის, სოფელ მაიაკოვსკის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობებს აკლიათ ლობიოს თესლი. სოფელ დიმის ხრუშჩოვის სახელობის და კალინინის სახელობის კოლმეურნეობებს ჯერ კიდევ არ გადაუცვლიათ სიმინდის თესლი ჯიშიან თესლზე „ზაგოტზერნოს“ ბაზაში.

ნელი ტემპით მიმდინარეობს საკვები ძირხვენების, ბაღჩეული და ბოსტნეული კულტურების თესვა, ახალი ხეხილის გაშენება.

ბევრგან მუშა-პირუტყვი ცუდად გამოაზამთრეს და დასუსტებულია. სოფელ პირველი ობჩის ხიმიტროვის სახელობის, სოფელ მეორე ობჩის ორჯონიკიძის სახელობის, სოფელ წითელხევის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობებში ყოველდღიურად სამუშაოდ მუშა-პირუტყვის ნახევარიც ვერ გამოჰყავთ.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნე არ არის ჩაბმული საგაზაფხულო სამუშაოებში. მაგალითად, სოფელ დიმის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობაში დღემდე არც ერთი შრომადღე არა აქვს გამომუშავებული 49 შრომისუნარიან კოლმეურნე კაცსა და ქალს, ხოლო სოფელ წითელხევის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში — 80 კოლმეურნეს.

მაიაკოვსკის მტს-ში ყველა შესაძლებლობას ჯერ კიდევ მთლიანად ვერ იყენებენ. სოფელ წითელხევის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ვენახების ნაწილი ტრაქტორით ცუდად გადახნეს. ასეთ ფაქტებს სხვაგანაც ვხვდებით. სოფელ როხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მომუშავე ტრაქტორი „კდ-35“ ნაწილის გაფუჭების გამო 14 კილომეტრ მანძილზე მტს-ში წაიღეს და მხოლოდ სამი დღის შემდეგ დაუბრუნეს კოლმეურნეობას. ყველა ტრაქტორი გადაყვანილი არ არის სადღეღამისო მუშაობაზე. ტრაქტორების ნაწილი ვერ ასრულებს გამომუშავების ყოველდღიურ ნორმებს.

როგორც რეიდის მასალებიდან ჩანს, მდგომარეობა დამაფიქრებელია. მაიაკოვსკის რაიონში საგაზაფხულო სამუშაოთა აგროტექნიკური ვადები ირღვევა.

აქედან საჭირო დასკვნები უნდა გააკეთონ რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა და უზრუნველყონ საგაზაფხულო სამუშაოებში არსებული ჩამორჩენის სასწრაფოდ გამოსწორება.

გაზეთ „კომუნისტისა“ და მაიაკოვსკის რაიონული გაზეთის „წითელი დროშის“ ბრიგადა: დ. ლილუაშვილი, დ. ჩუბინიძე, ე. როგავიძე.

ორგანიზებულად დავამთავროთ სასწავლო წელი პარტიული განათლების ქსელში

პარტიული განათლების ქსელში, როგორც ქალაქად, ისე სოფლად, სასწავლო წელი მთავრდება მიმდინარე წლის პირველი ივნისისათვის. პარტიულმა კომიტეტებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ დარჩენილი დრო პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრებისათვის.

მაისის ბოლოს უკანასკნელი ორი-სამი მეცადინეობა პოლიტსკოლებსა და წრეებში ეთმობა სასწავლო წლის განმავლობაში გავლილი მასალის შეჯამებას. პარტიულ სწავლებაში შემაჯამებელი მეცადინეობის მოწყობა უაღრესად პასუხსაგები მომენტია, მთელი წლის მუშაობის დასკვნითი ეტაპია.

შემაჯამებელ მეცადინეობას ატარებს პროპაგანდისტი. პროპაგანდისტს წინასწარ უნდა ჰქონდეს შედგენილი ძირითადი, საკვანძო საკითხები სასწავლო წლის განმავლობაში გავლილი მასალიდან. საჭიროა გავლილი მასალა გაიყოს იმდენ ნაწილად, რამდენი შემაჯამებელი მეცადინეობაც მოეწყობა პოლიტსკოლაში ან წრეში. მიზანშეწონილი არ არის მსმენელებს დაურიგდეთ პროპაგანდისტის მიერ წინასწარ შედგენილი კითხვარი, რადგან ასეთ შემთხვევაში მსმენელები შეეცდებიან მოკლედ გასცენ პასუხი დასმულ კითხვებზე და საფუძვლიანად არ გაიმეორებენ გავლილ მასალას. არ შეიძლება შემაჯამებელი მეცადინეობა გადავაქციოთ სასკოლო ტიპის გამოცდად, როცა ხდება ინდივიდუალური გამოძახება და გამოკითხვა მთელი გავლილი მასალის ფარგლებში, იწერება ნიშნები და სხვ.

პარტიული განათლების ქსელში შემაჯამებელი მეცადინეობა უნდა ჩატარდეს გაშლილი ამხანაგური საუბრის მეთოდით. პროპაგანდისტი გავლილი მასალიდან მსმენელების წინაშე აყენებს საკითხს და ამის გარშემო საუბრობს ის მსმენელი, რომელიც სურვილს გამოთქვამს. დანარჩენ მსმენელებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საკითხზე გამართულ საუბარში, თუ გამოტოვებული ან არასწორად განმარტებული იყო რომელიმე საკითხი. თუ მსმენელებმა ვერ შეძლეს დასმულ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა, პროპაგანდისტი ვალდებულია განმარტება მისცეს მსმენელებს აღნიშნულ საკითხზე. უნდა ავაღწიოთ იმას, რომ შემაჯამებელ მეცადინეობაზე გაშლილ საუბარში აქტივობას იჩენდეს ყველა მსმენელი.

სასწავლო წლის განმავლობაში შესწავლილი მასალის გარშემო გასაუბრება უნდა მოაწყონ აგრეთვე კონსულტანტებმა და თეორიული სემინარების ხელმძღვანელებმა, რომლებმაც გაშლილი საუბრის მეთოდით უნდა გამოავლინონ მსმენელთა მიერ გავლილი მასალის შეთვისების დონე.

შემაჯამებელ მეცადინეობაზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმის გამორკვევას, თუ რამდენად ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლეს პარტიული განათლების ქსელში გაერთიანებულმა და წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე კომუნისტებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ რეკომენდებული თემები, როგორიც არის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 50 წელი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ გ. მ. მალენკოვის სიტყვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმზე „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ და სექტემბრის პლენუმის დადგენილება აღნიშნულ საკითხზე, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმის დადგენილება.

პარტია კომუნისტებისაგან მოითხოვს ზემოაღნიშნული მასალების საფუძვლიან ცოდნას და აქტიურ ბრძოლას ქვეყნის წინაშე დასახული ისტორიული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

წინა სასწავლო წლებში იყო არასწორი პრაქტიკა — პოლიტსკოლებისა და წრეების შემაჯამებელ მეცადინეობაზე რაიკომებისა და ქალაქკომების წარმომადგენლების მიმაგრება. ამასთან რაიკომში, ქალაქკომში გასაუბრებისათვის იწვევდნენ პარტიულ-საბჭოთა აქტივს. ზოგჯერ კონსულტანტის მაგივრად გასაუბრების მოსაწყობად გამოჰყოფდნენ ხოლმე სხვა კონსულტანტს ან ლექტორს. აგრეთვე რაიკომის, ქალაქკომის ბიუროს სხდომებზე მტკიცდებოდა პოლიტსკოლებსა და წრეებში შემაჯამებელი მეცადინეობის ჩატარების გრაფიკი. მიმდინარე სასწავლო წელს შემაჯამებელ მეცადინეობას დაესწრებიან პირველადი პარტორგანიზაციების წარმომადგენლები და მეცადინეობის ჩატარების დღეებს განსაზღვრავენ თვითონ პარტიული ორგანიზაციები მსმენელთა სურვილის გათვალისწინებით.

უკანასკნელ შემაჯამებელ მეცადინეობაზე მსმენელებს უნდა გავაცნოთ სასწავლო წლის შედეგები, ამავე მეცადინეობაზე მსმენელთა სურვილისა და მათი პოლიტიკური ცოდნის დონის გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს, თუ მომავალ სასწავლო წელს რომელი კომუნისტი პარტიული განათლების რა ფორმაში იმეცადინებს.

მიმდინარე სასწავლო წელს მთელმა რიგმა პარტიულმა ორგანიზაციებმა პარტიული განათლების ქსელის დაკომპლექტების დროს შეცდომები დაუშვეს. მათ ანგარიში არ გაუწიეს სწავლებაში ჩაბმის ნებაყოფლობით პრინციპს და კომუნისტთა სურვილის გაუთვალისწინებლად აერთიანებდნენ მათ პოლიტსკოლებსა და წრეებში.

პოლიტსკოლებსა და წრეებში ყველა კომუნისტის ხელაღებით ჩარიცხვის პრაქტიკა კომუნისტებს უკარგავს რწმენას თავიანთი შესაძლებლობისადმი, უკარგავს მათ იმის რწმენას, რომ დამოუკიდებელი სწავლის მეთოდით შეუძლიათ დაეუფლონ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს. კომუნისტები, რომლებმაც წარმატებით დაამთავრეს პოლიტსკოლები და წრეები, არ საჭიროებენ მათი შემდგომი სწავლის აუცილებელ რეგლამენტირებას. ამიტომ საჭიროა შემაჯამებელი მეცადინეობის დასასრულს კომუნისტებთან გასაუბრების გზით გავიგოთ მათი სურვილი და პოლიტიკური მომზადების დონე, რაც საფუძვლად დაედება ახალი სასწავლო წლისათვის წრეებისა და პოლიტსკოლების დაკომპლექტებას.

პარტიული ორგანიზაციები ისე უნდა წარმართავდნენ კომუნისტების პოლიტიკური განათლების საქმეს, რომ შემომქმედებითად შეითვისონ მარქსიზმ-ლენინიზმი, უკეთ გამოიყენონ მიღებული ცოდნა თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში.

პარტიული პროპაგანდის ამოცანაა დაეხმაროთ კომუნისტებს შეისწავლონ მასალები „პოლიტსკოლის მსმენელთა დასახმარებლად“, დაეხმაროთ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების დაუფლებაში „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ მოცულობით. ამოცანა ის არის, რომ შევაიარაღოთ კომუნისტები პარტიის პოლიტიკის ღრმა ცოდნით, მივაღწიოთ იმას, რომ ისინი კარგად ერკვეოდნენ ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო ვითარებაში, თვითეულ მშრომელს აცნობდნენ პარტიის პოლიტიკას და რაზმავდნენ მათ პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად.

პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პროცესში სწორად აუხსნან კომუნისტებს პარტიული განათლების სისტემაში სწავლების ნებაყოფლობითი პრინციპი, რის შედეგადაც ზოგიერთი წრე, სულ ერთია სწავლების პირველი წლისა იქნება ის თუ მეორე წლისა, მსმენელთა სურვილის მიხედვით შეიძლება დაიშალოს და კომუნისტთა უმრავლესობა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შესწავლას წიგნზე დამოუკიდებლად სწავლების მეთოდით შეუდგეს. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს აუცილებელია ხელაღებით დავშალოთ არსებული პოლიტსკოლები და წრეები. იმის გამო, რომ ჯერ კიდევ გვყავს კომუნისტები, რომლებსაც არა აქვთ პოლიტიკური ცოდნის მინიმუმი და სურვილს გამოთქვამენ იმეცადინონ პოლიტსკოლებში, ასეთ შემთხვევებში პარტიულმა ორგანიზაციებმა ანგარიში უნდა გაუწიონ კომუნისტების სურვილს და მათთვის შექმნან პოლიტსკოლები და წრეები, რომელთა პროპაგანდისტებად უნდა შეარჩიონ სათანადო ცოდნისა და გამოცდილების მქონე ამხანაგები. კომუნისტები, რომლებიც სურვილს გამოთქვამენ იმეცადინონ პოლიტსკოლებსა და წრეებში, რეგულარულად უნდა ესწრებოდნენ მეცადინეობას და წარმატებით ითვისებდნენ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ მასალას.

ცნობილია, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლის ძირითად მეთოდად აღიარებულია წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის მეთოდი. ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია ხშირად უხეშად არღვევდა წიგნზე დამოუკიდებლად სწავლების პრინციპს. წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებისაგან მოითხოვდნენ წლიური გეგმების შედგენას რეკომენდებულ თემებზე და ამ თემების შესწავლის დროის რეგლამენტაციას. პარტიული ორგანიზაციები ანგარიშს არ უწევდნენ მათს ცოდნას, სურვილს და სავალდებულოდ უხდიდნენ დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს კონსულტანტებზე მიმაგრებას. არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა დააზუსტონ იმ ამხანაგების რაოდენობა, რომლებიც მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილს გამოთქვამენ. ამასთან საჭიროა დაზუსტდეს — კონსულტანტის დახმარებით თუ მის დაუხმარებლად შეუძლია კომუნისტს შეისწავლოს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები. თუ კომუნისტს აქვს წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის საკმარისი ცოდნა, გამოცდილება და შეუძლია იმუშაოს კონსულტანტის დაუხმარებლად, მაშინ მასზე კონსულტანტის მიმაგრება საჭირო არ არის. კომუნისტი თვითონ ადგენს მისთვის საინტერესო საკითხებს და არჩევს ლიტერატურას ამ საკითხების შესასწავლად.

ამ მიზნით ბევრ ადგილას ეწყობა ინდივიდუალური ან ჯგუფური ბიბლიოთეკა.

ამ ბიბლიოთეკებში ინახავენ ლენინ-სტალინის ნაშრომებს, ბროშურებს, ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილ სტატიებს, ბიბლიოგრაფიულ ჩამონათვალებს, ინფორმაციებს, ცალკეულ ბროშურებზე, ინფორმაციებზე, ბიბლიოგრაფიულ ჩამონათვალებზე ინდივიდუალურ ბარათებს, ინფორმაციებს ინდივიდუალურ ბარათებზე, ბიბლიოგრაფიულ ჩამონათვალებზე ინდივიდუალურ ბარათებზე

წერილი რედაქციას

აზოტოვანი სასუქების ქარხნის მშენებლობა ჭიანურდება

რამდენიმე წლის წინათ რუსთავში შეუდგნენ აზოტოვანი სასუქების, ე. წ. აზოტ-ტუკის ქარხნის მშენებლობას. ეს მშენებლობა მინდობილი აქვს ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტს (მმართველი ნ. გიორგაძე, მთავარი ინჟინერი ნ. ლობოცკი), რომელიც ჩვენი სოფლის მეურნეობის შემდგომი სწრაფი აღმავლობისათვის მეტად მნიშვნელოვან ამ საწარმოს მშენებლობას რატომღაც მეორეხარისხოვან საქმედ სთვლის. ქარხანამ უნდა გამოუშვას ორი სახეობის აზოტოვანი სასუქი — ამონიუმი და ნატრიუმის გვარჯილა. ამ სასუქებზე სოფლის მეურნეობაში უდიდესი მოთხოვნილებაა.

რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანამ უახლოესი 10 წლის განმავლობაში სავსებით უნდა დააკმაყოფილოს რესპუბლიკის კოლმეურნეობათა მზარდი მოთხოვნილება სასუქზე, ხოლო შემდგომში მან თავისი პროდუქცია მნიშვნელოვანი რაოდენობით უნდა მიაწოდოს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებსაც, პირველ რიგში ამიერკავკასიის რესპუბლიკებს.

დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ქარხნის პირველი რიგის სამუშაოები უნდა დამთავრებინათ, მაგრამ ეს სამუშაოები დღემდე ჭიანურდება. სამონტაჟო და სამშენებლო სამუშაოები ისეთი ტემპით წარმოებს, რომ დანიშნული ახალი ვადისათვის ქარხნის ამუშავება საეჭვო ხდება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ �.ანანგმა პერვუხინმა მიმდინარე წლის 11 მარტს ქ. თბილისის კალინინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე გამოსვლისას აღნიშნა რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის მშენებლობის დაჩქარების საჭიროება, რათა მისი პროდუქცია უახლოეს დროში მიიღონ საქართველოს კოლმეურნეობებმა. მშენებლები კი ამ მოწოდების შემდეგაც ძველებურად, აუჩქარებლად მუშაობენ, მდგომარეობის გამოსასწორებლად ზომებს არ იღებენ. ისინი ვერც წელს ასრულებენ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა პროგრამას. პირველ კვარტალში გეგმა სანახევროდაც ვერ გაანაღდეს.

დაუშვებელ გულგრილობას იჩენენ ამ ქარხნის მშენებლობისადმი ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის სხვადასხვა სამშენებლო ორგანიზაციები. მაგალითად, „ტრანსვოდსტროის“ (უფროსი გ. ქართველიშვილი) ხელმძღვანელთა მოუქნელობისა და უსულგულობის შედეგად აზოტოვანი სასუქის ქარხანა მოკლებულია სასმელ წყალს. ამავე სამშენებლო ორგანიზაციის მიზეზით ჯერ კიდევ მოუწყობელია ე. წ. ფეკალური კანალიზაციის სისტემა, რაც ქარხნის ტერიტორიაზე დაუშვებელ ანტისანიტარულ მდგომარეობას ქმნის. ჭიანურდება რკინიგზის მშენებლობაც. მთელი რიგი საქარხნო კორპუსები თითქმის ორი წელია ხეტყის უქონლობის გამო უკარფანჯროდ არის.

სამშენებლო სამმართველო „ქიმმრეწვმშენი“ (უფროსი კ. უკლება), რომელიც ძირითადი საქარხნო ობიექტების აგებაზე მუშაობს, დაკომპლექტებული არ არის კვალიფიციური მუშახელით, რაც იწვევს სამუშაოთა უხარისხოდ შესრულებას, ასეულ ათასობით მანეთის ზარალს.

ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის კადრების განყოფილება კი (უფროსი ა. ხუციშვილი) კვალიფიციური მუშახელის ნაცვლად ქარხნის სამშენებლო ობიექტებზე გზავნის დამხმარე მუშებს, მაშინ როცა „ქიმმრეწვმშენს“ ძირითადად მოსაპირკეთებელი სამუშაოები აქვს შესასრულებელი, რაც საჭიროებს მაღალკვალიფიციურ შემლესავებსა და დურგლებს.

დაუდევრად მუშაობს „სოიუზპრომმონტაჟის“ კოლექტივი, რის გამო დანადგართა დროზე დამონტაჟება ფერხდება, ხოლო ეს იწვევს საწარმოო სამუშაოებთა გაყინვას და ქმნის სიძნელეებს საბიუჯეტო თანხების ათვისებაში.

ასევე გულგრილად მუშაობს სამონტაჟო ორგანიზაცია „ფოლადკონსტრუქცია“ (უფროსი ამხ. ობუხოვი) და მთელი რიგი სხვა სამშენებლო ორგანიზაციები.

მძიმე მდგომარეობაა შექმნილი საბინაო მშენებლობის დარგშიც. ქარხნის მუშებისათვის აგებულ საცხოვრებელ სახლებში ბინების უმეტესობა თვითნებურად დაიკავეს ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მუშაკებმა, რომლებიც ამავე დროს საბინაო მშენებლობაში დიდად ჩამორჩებიან.

ყოველივე ეს დიდ საფრთხეს უქმნის აზოტოვანი სასუქების ქარხნის დროულად ამუშავების საქმეს.

ქალაქ რუსთავის პარტიულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა ქმედითი ზომები უნდა მიიღონ ამ მეტად საჭირო საწარმოს მშენებლობის გათვალისწინებულ ვადაში დასამთავრებლად.

ნ. ჭიკაშვილი,
რუსთავის აზოტოვანი სასუქის ქარხნის დირექტორი.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

სამტრედიის რაიონის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ვ. კობალეიშვილმა რედაქციას აცნობა, რომ წერილში „მივწყებული უბანი და მოვარდნილი ტუჩები“ აღნიშნული ფაქტები მთლიანად დადასტურდა. რაიაღმასკომმა მიიღო ზომები სასოფლო გზების შეკეთებისათვის, აგრეთვე ქ. სამტრედიის ზოგიერთი მივწყებული ქუჩისა და სოფელ მელაურის კეთილმოწყობისათვის.



ბოლრჯომი. საკავშირო პროფსაბჭოს ლიკანის სანატორიუმის პირველი კორპუსი.
ფოტო პ. თოვთიკიანისა.

გავაძლიეროთ საკურორტო სეზონისათვის მზადება

შესანიშნავმა სამკურნალო წყალმა ფართოდ გაუთქვა სახელი წყალტუბოს, სადაც ყოველწლიურად იზრდება დამსვენებელთა რიცხვი. აქ 1951 წელს დაისვენა 37 ათასმა კაცმა, 1952 წელს — 42 ათასმა, ხოლო შარშან — 50 ათასმა კაცმა. კომპლექსური მკურნალობის დანერგვით 90 პროცენტს მიაღწია იმ ავადმყოფთა რაოდენობამ, რომლებმაც ჯანმრთელობის მკვეთრი გაუმჯობესება იგრძნეს.

წელს წყალტუბო 60 ათას დამსვენებელს მოელის. მათ შესახვედრად მოსამზადებელი მუშაობა ფართოდ არის გაჩაღებული. კაპიტალური რემონტი გაუკეთდა და ნაწილობრივ რეკონსტრუირებულია მეექვსე ამბანანა, რამაც კიდევ უფრო გაამშვენიერა იგი. შეკეთდა მეხუთე ამბანა, პანსიონატი, პირველი სანატორიუმი, თითქმის ყველა აუზში დაიგო ფილაქანი, მოიკირწყლა და მოასფალტდა ასობით კვადრატული მეტრი შიდასასიარულო გზა.

კურორტის მწვანე სამოსელი სულ უფრო და უფრო დიდ ადგილს იკავებს. მიმდინარე გაზაფხულზე ორანჟერიებში გამოყვანილია 150 ათასი ყვავილი, რომლებმაც მეტად გაალამაზა ცენტრალური პარკი, გაზონები და სკვერები. მაგნოლიამ, დაფნამ, ფიჭვმა, აკაციამ, პალმამ და სხვა მცენარეებმა 3.600 გრძივ მეტრზე დაამშვენა ბორდიურები.

წელს კურორტის ირგვლივ მოეწყობა ხეივნები. ხეივნები გაკეთდება ტბის მიდამოებშიც. ეს ტბა მიმდინარე სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო დასასვენებელი ადგილი იქნება კურორტზე. ტბის გაყოლებით დაირგვება კვიპაროსები, გაკეთდება ბორდიურები, მოეწყობა პავილიონი და კიოსკები. ტბაზე მოეწყობა ნავებით სეირნობა.

მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ხორციელდება მკურნალობის გაუმჯობესებისათვის. პავლოვის მოძღვრების უკეთ დანერგვის მიზნით ჩამოყალიბებულია პავლოვური კაბინეტი, რომელიც გარკვეული გეგმით მუშაობს. სემინარები ეწყობა როგორც ექიმებისათვის, ისე ექთანებისთვის. სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე წაკითხულია 29 მოხსენება. შემუშავებულია ახალი საერთო საკურორტო რეჟიმი სანატორიუმების, პოლიკლინიკებისა და ბალნეოდაწესებულებებისათვის.

წელს მეორე პოლიკლინიკაში გაიხსნება ფუნქციონალური დიაგნოსტიკის კაბინეტი, პირველ სანატორიუმში — კლინიკური დიაგნოსტიკური ლაბორატორია, პირველ პოლიკლინიკაში — კლინიკური ბიოქიმიის ლაბორატორია. სამედიცინო აპარატურის რემონტი ძირითადად დამთავრებულია. გამოყოფილია 50 ათასი მანეთი ლაბორატორიული მოწყობილობისა და ქიმიკალიების შესაძენად.

საკურორტო სეზონისათვის მზადების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებიც არის. სუსტია კონტაქტი ბალნეოლოგიური დაწესებულებებისა და სანატორიუმების ექიმებს შორის. კურორტის მთავარმა ექიმმა გ. ბოლქვაძემ შეიმუშავა ავადმყოფობის ისტორიის ნიმუში სანატორიუმებისა და პოლიკლინიკებისათვის, რაც მოიწონა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიის ინსტიტუტმა. მაგრამ სამინისტროს კურორტთა მთავარი სამმართველო პრაქტიკაში მის დანერგვას რატომღაც უგულებელყოფს.

წყალტუბოში 120 ექიმია, მაგრამ მათგან მხოლოდ 5 მუშაობს სამეცნიერო თემაზე.

კურორტზე მოუწესრიგებელია დამსვენებელთა დიეტური კვება, არ არსებობს კეთილმოწყობილი აბანო, ზოგ ადგილას უსუფთაობაა და ა. შ.

წყალტუბოში ამჟამად დიდი მშენებლობაა. შენდება რამდენიმე სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი, მაგრამ ბევრგან მშენებლობა ნელი ტემპით მიმდინარეობს, არის შემთხვევები, როცა მშენებლები მოუთავებელ შენობებს აბარებენ. მაგალითად, რკინიგზელთა სანატორიუმს არა აქვს ლიფტი და სხვ. ეს ნაკლოვანებანი დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

გ. მეფისაშვილი.
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ფელეტონი

ცთომილი „ვარსკვლავები“

მას უკანასკნელი მოდის მიხედვით შეკერილი შავი ველური დრაფის პალტო ეცვა. შავი კარაკულის ქუდიდან, რომელიც თავზე ოდნავ ირიბად ეხურა, კისრამდე ჩამოზრდილი ხუჭუჭი თმა მოუჩანდა, მაჯაზე უბრწყინავდა ოქროს საათი ოქროსავე სამაჯურით, ვარდისფერი ჰალსტუკი ეკეთა, მოზრდილი პორტფელი ეჭირა, დედაქალაქის რუსრაველის მოედანთან იდგა და მანქანას უცდიდა.

— საით, გივი ივანიჩ? — მოულოდნელად შეეკითხა მას აფრასიონ ჩხიკვიშვილი.

— ქუთაისს, გენაცვალე, ქუთაისს!

— მამის მეგობრებთან, არა?..

— დიახ, გენაცვალე... რაკი მშობლის ანდერძი არსებობს, სხვა რა გზა მაქვს, უნდა შევასრულო.

თითქოს აქ სასაცილო არაფერი თქმულა, მაგრამ რატომღაც ორივემ გადაიხარხარა. ამასობაში მანქანაც ჩამოდგა. აფრასიონმა გზა მშვიდობისა უსურვა მეგობარს და გაისტუმრა.

გათენდა მეორე დღე. ინდუსტრიულ ქუთაისში შრომა გაჩაღდა. მაიაკოვსკის ქუჩაზე მცხოვრები შ. ყვიტიაშვილი ეზოში გამოვიდა და ხეხილის ნერგებს სინჯავა დაუწყო. უცებ ტროტუარზე ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა. იგი კართან შეჩერდა და ეზოში მდგომ მასპინძელს შეეკითხა:

— გენაცვალე, შაბათა ქვიტიაშვილი აქ ცხოვრობს?

— მე გახლავართ, მეგობარო! მობრძანდით, — უპასუხა მასპინძელმა და კარი გააღო.

— გივი ივანეს-ძე ბრეგვაძე, — კაცმა თავი სტუმარმა. — მამაჩემს თქვენთან ერთად განუზრახავს თბილისში ფალიაშვილის ქუჩაზე აეგო სახლი... შეთანხმების საფუძველზე 85 ათასი მანეთი თქვენთვის გადმოუცია საშენი მასალების შესაძენად, ხოლო 10 ათასი მანეთი ინჟინერ აფრასიონ ჩხიკვიშვილისათვის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შესადგენად. მამაჩემი 1952 წელს გარდაიცვალა. სიკვდილის წინ ეს ხელწერილი დამიტოვა.

— გეშლებათ, მეგობარო, მე თბილისში სახლის აგება აზრადაც არ მომსვლია, — უპასუხა მასპინძელმა.

— ნახეთ, გენაცვალე! ხელმოწერა ნამდვილად თქვენი ქალიშვილისაა, მაშასადამე, ფულიც უნდა გადაიხადოთ. მე ობლობაც მეყოფა...

ამ საუბარზე მასპინძლის ქალიშვილი მარო ეზოში გამოვიდა. გივიმ ერთხელ კიდევ სცადა ხელწერილით შეეშინებინა მამა-შვილი, მაგრამ ვერაფერი გააწყო... მაშინ სასამართლოთი დაემუქრა და წავიდა.

მაროს გაახსენდა, რომ ორი თვის წინათ ეს კაცი იყო მასთან... ეცვა მილიციის ფორმა, ეძებდა ვიღაც ხიხინაშვილს. მაროს მოსთხოვა პასპორტი... შემდეგ ფანქარი... სანამ ფანქარს მოუტანდნენ, „მილიციის მუშაკმა შიმშიაშვილმა“ (ასე უწოდა მაშინ გივი ბრეგვაძემ თავის თავს) ავტომატური კალმისტრით რაღაც ამოიწერა პასპორტიდან... ეს რაღაც, როგორც შემდეგ ექსპერტმა გამოარკვია, [illegible] ქვიტიაშვილის [illegible] დამტკიცდა [illegible] პასუხისგებაში მისცეს. აფერისტმა სასტიკი პროტესტი განაცხადა:

— მე რა შუაში ვარ, გენაცვალე, — ხელწერილი მამაჩემმა დამიტოვა ანდერძთან ერთად. თუ ყალბია, ღმერთმა შეუნდოს, მას მოსთხოვეთ პასუხი.

არც ამ „წინდახედულებამ“ უშველა გივი ბრეგვაძეს. მისი გულის მესაიდუმლე ინჟინერი აფრასიონ ჩხიკვიშვილი ცოცხალია. მაშასადამე, ცოცხალია, ვინც შეადგინა ყალბი ხელწერილი, არარსებული მშენებლობის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა.

გივი ბრეგვაძე მხოლოდ 26 წლისაა და მეორედ წარსდგა სასამართლოს წინაშე. მას ჯერ კიდევ 1950 წლის 25 აპრილს ყალბი დოკუმენტების შედგენისათვის თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლომ 3 წლის პატიმრობა მიუსაჯა. ვერ უშველა ა. ჩხიკვიშვილის ყალბმა საბუთებმა... როგორც იტყვიან, ჭრაქივით თანდათან ჩაქრა ეს ცთომილი „ვარსკვლავი“, რომელიც ერთ დროს აფრასიონთან ერთად გახიერი ნაბიჯებით დასეირნობდა რუსთაველის პროსპექტზე, მარჯვე დროს შეურჩევდა ხოლმე და ხელებს აფათურებდა სხვის ჯიბეებში, იოლად ნამოვნ ფულს უანგარიშოდ ხარჯავდა... ცა ქუდად არ ძიაჩნდა და დედამიწა ქალამნად. ახლა სხედან ორივენი და იმას იმკიან, რაც დაუთესიათ.

სამწუხაროდ, ცხოვრების ორბიტიდან ამოვარდნილი ასეთი ცთომილი „ვარსკვლავები“, როგორც გივი და აფრასიონია, აქა-იქ კიდევ დაძრწიან... ჩვენ ამ „ვარსკვლავეთიდან“ ორი ცთომილი უკვე გამოვამზეურეთ. ესეც კმარა იმისათვის, რომ თავიანთ გულში ჩაიხედონ იმ ახალგაზრდებმაც, რომლებიც დილიდან საღამომდე პროსპექტზე დგანან, საზოგადოებრივ წესრიგს უხეშად არღვევენ, ნებსით თუ უნებლიეთ ებმებიან ანტისაზოგადოებრივ მოქმედებაში.

ცხადია, ასეთი ახალგაზრდები თითებზე ჩამოსათვლელია. მათ საფუძველი გამოცლილი აქვთ. ჩვენი დიადი ქვეყნის ჯანსაღი და შრომისმოყვარე ახალგაზრდობა, რომელიც ყველგან და ყველაფერში მოწინავეა, უიდეობის, უყაირათობის და ანტისაზოგადოებრივი მოქმედების ერთეულ შემთხვევებსაც ვერ მოითმენს.

ჩვენი ფელეტონის გმირმა გივი ბრეგვაძემ სამარეშიც არ მოასვენა მამამისი. პროსპექტზე მოწინადრე ახალგაზრდების დედები და მამებიც, კაცმა რომ თქვას, როდი არიან მშვიდად. თვეში ერთხელ მაინც უხდებათ მიაკითხონ სათანადო ორგანოებს. შემდეგ ზოგი მშობელი ჯარიმას იხდის, ზოგი სამსახურიდან სამდურავს იღებს, ზოგს ამხანაგები კიცხავენ... ახია მათზე, რათ ივიწყებენ ცნობილ აფორიზმს: „ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ავად ზრდილი“.

მ. გივიშვილი.

უნივერსიტეტი სერიოზული შემოწმების წინაშე

პროფ. ე. ბურჭულაძე,
სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები შედიან თავისი მუშაობის მეტად დიდ და პასუხსაგებ პერიოდში — მიმდინარე 1953-1954 სასწავლო წლის შედეგების შეჯამებისა და ახალი სასწავლო წლისათვის ინტენსიური მზადების პერიოდში. დიდი ამოცანებია დასახული უმაღლესი სკოლების წინაშე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის, პარტიისა და მთავრობის ისტორიულ გადაწყვეტილებებთან, სსრ კავშირის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის დადგენილებებთან დაკავშირებით. ჩვენს წინაშე დგას ამოცანა გადაჭრით გავაუმჯობესოთ სპეციალისტთა მომზადების ხარისხი, მივცეთ ქვეყნის კადრები, რომლებსაც კარგად ეცოდინებათ თავისი საქმე, ეყვარებათ თავისი პროფესია, იქნებიან სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს სსრ ერთ-ერთი უდიდესი კულტურული კერაა. იგი ყოველ წელიწადს აძლევს ჩვენს სამშობლოს ათასზე მეტს ახალგაზრდა სპეციალისტს — ფიზიკოსებს, მათემატიკოსებს, ბიოლოგებს, ქიმიკოსებს, გეოლოგებს, ეკონომისტებს, ისტორიკოსებს, ენათმეცნიერებს, ლიტერატორებს, იურისტებს და სხვ. უნივერსიტეტის მთავარ სიმდიდრეს, მის უძვირფასეს განძს ისევ ოქროს ფონდს საბჭოთა ადამიანები, საბჭოთა კადრები წარმოადგენენ. აქ მოწინავე მეცნიერებას წარმატებით ეუფლება ათასობით საბჭოთა ახალგაზრდა. უნივერსიტეტში ასწავლიან და მეცნიერულ მოღვაწეობას ეწევიან მოწინავე საბჭოთა მეცნიერები, რომლებიც მთელ თავიანთ მუშაობაში ხელმძღვანელობენ კომუნისტური პარტიის პოლიტიკით.

სწავლა-აღზრდის საბჭოთა სისტემა — ყველაზე მოწინავეა მსოფლიოში. მისი პროგრესულობა განპირობებულია უწინარეს ყოვლისა იმით, რომ ეს სისტემა განასახიერებს აღზრდის შინაგანი პრინციპების, მიზნებისა და შინაარსის ერთიანობას, იგი დაქვემდებარებულია დიადი მიზნებისადმი და მთლიანად უპასუხებს საბჭოთა ხალხის სასიცოცხლო ამოცანებს. — ამაშია მისი ძალა, მისი ძირეული განსხვავება ადამიანის დამშონებელი და დამჩაგვრელი ბურჟუაზიული აღზრდის სისტემისაგან.

წარმატებანი სტუდენტთა სწავლებაში, მათ მიერ მოწინავე მეცნიერების დაუფლება განუხრელად დაკავშირებულია ჩვენს უმაღლეს სკოლაში იდეოლოგიური მუშაობის სწორად დაყენებასთან. ყოველ სკოლაში, — გვასწავლის ვ. ი. ლენინი, — ყველაზე მნიშვნელოვანია ლექციების იდეურ-პოლიტიკური მიმართულება. ეს კლასიკური ლენინური განსაზღვრა წარმოადგენს შეურყეველ პრინციპს, რომელიც საფუძვლად უდევს სწავლებას ჩვენს უნივერსიტეტში.

საბჭოთა ახალგაზრდობის სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის ამოცანები ჩვენი ღვიძელი პარტიული საქმეა. განვლილი წელი ამ მხრივ ჩვენი უნივერსიტეტის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი გარდატეხით აღინიშნა. ხელმძღვანელობდა რა პარტიის მითითებებით, უნივერსიტეტის კოლექტივმა გაშალა ბრძოლა საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების გაუმჯობესებისათვის, სტუდენტების მიერ რეგოლუციური თეორიის მტკიცე და ღრმა შეთვისებისათვის, სწავლებაში მედავითნეობისა და დოგმატიზმის დაძლევისათვის. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს კარგად ესმით, რომ ახალგაზრდობის მარქსისტულ-ლენინური განათლება და აღზრდა მარტოოდენ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მოვალეობას როდი წარმოადგენს, ეს დიდი ამოცანა ყველა კათედრას ეკისრება. ამ თვალთახედვით უნდა ვხელმძღვანელობდეთ ჩვენი წლიური სასწავლო-საალმზრდელო და სამეცნიერო მუშაობის შეჯამებისას.

უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის მუშაობის ყველა უბანი, ყველა კათედრა და მეცნიერი როდი დგას თანაბარ სიმაღლეზე. სტუდენტთა ერთი ნაწილის იდეურ-თეორიული მომზადების დონე ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს წაყენებულ მოთხოვნებს, კომუნისტური შენებლობის ამოცანებს. სწავლების პრაქტიკაში არაიშვიათად თავს იჩენს ფორმალიზმი, დოგმატიზმი და მედავითნეობა, ცალკეულ მასწავლებელთა უუნარობა — დაკავშირონ მეცნიერება პრაქტიკასთან, ჩვენი ქვეყნის მჩქეფარე ცხოვრებასთან.

სტუდენტთა სწავლებასა და აღზრდაში სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს ლიბერალიზმი ცოდნის შეფასებაში. ზოგიერთი მასწავლებელი მაღალ მოთხოვნებს არ უყენებს სტუდენტებს, ზერელედ ამოწმებს მათს ცოდნას. „პროცენტომანიით“ და პარადული კეთილდღეობით გატაცებული ზოგი ვაი-აღმზრდელი ყოველნაირად ცდილობს ხელოვნურად ასწიოს წარმატების დონე „სრულ 100 პროცენტამდე“. ჩვენ ვალდებული ვართ გადაჭრით დავძლიოთ მუშაობის ეს მანკიერი სტილი. ახლოდება საზაფხულო სესიები. პროფესორ-მასწავლებლებს ევალებათ სტუდენტებს წაუყენონ მაღალი, მაგრამ სამართლიანი მოთხოვნელობა, გულმოდგინედ შეამოწმონ მათი მომზადება.

ჩვენ მოწოდებული ვართ უზრუნველვყოთ სტუდენტთა მომზადებისა და აკადემიური წარმატების მაღალი დონე, მაღალი მაჩვენებლები, მაგრამ ეს ამოცანის მხოლოდ ერთი მხარეა. საჭიროა უნივერსიტეტის მთელმა კოლექტივმა სერიოზული ყურადღება მიაქციოს აღმზრდელობითს მუშაობას, იბრძოლოს სტუდენტთა მოქალაქეობრივი შეგნების ამაღლებისათვის, თუ ცუდი აღმზრდელობითი მუშაობით არა, რით შეიძლება იხსნას, როცა ცალკეული ახალგაზრდა კურსდამთავრებული სპეციალისტი უარს ამბობს წავიდეს სამუშაოდ შორეულ რაიონებში, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, სამუშაოდ გაემგზავროს იქ. სადაც კადრების ნაკლებობაა, სადაც მას განაწესებენ. სტუდენტთა შორის, როგორც გაზეთი „პრავდა“ წერდა, ჯერ კიდევ გვხვდებიან პატივმოყვარეები, ეგოისტები, ადამიანები, რომლებისთვისაც პირადი ინტერესები უფრო ძვირფასია, ვიდრე საზოგადოების, კოლექტივის ინტერესები. პროფესორ-მასწავლებლები, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ვალდებული ხარან იბრძოლონ სტუდენტთა შორის უცხო ჩვეულების შეღწევის წინააღმდეგ, აღზარდონ სულით ძლიერი, პატიოსანი და კეთილსინდისიერი, მხნე და ხალისიანი ახალგაზრდობა. სტუდენტობას უნდა ჩავუნერგოთ მაღალი კომუნისტური მორალი, კოლექტივიზმის, ამხანაგობისა და მეგობრობის გრძნობა, შეგნებული დისციპლინა. მივაღწიოთ იმას, რომ საბჭოთა ახალგაზრდა ყველაფერზე მაღლა აყენებდეს პარტიის, სახელმწიფოს ინტერესებს, ხალხის ინტერესებს. ეს არის ახლა მთავარი და ძირითადი.

უნივერსიტეტის კოლექტივმა განვლილი წლის პერიოდში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელა იდეოლოგიური მუშაობის გასაუმჯობესებლად, უარყოფითი ტრადიციების აღმოსაფხვრელად. მოეწყო მთელი რიგი შემოქმედებითი ხასიათის დისკუსიები პოლიტიკური ეკონომიის საკითხებზე, ისტორიული მეცნიერების მდგომარეობის შესახებ; ჩატარდა პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-ლიტერატურული პროდუქციის საჯარო განხილვები; დასახული საჯარო დისპუტების მოწყობის ფართო გეგმა ფილოსოფიის, იურიდიული მეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის, ენათმეცნიერების პრობლემების გარშემო; დღის წესრიგში დგას უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის ცალკეული ნიმუშის შემოწმება-განხილვა. თვალსაჩინოდ ამაღლდა მომთხოვნელობა სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციების ხარისხისადმი, გაძლიერდა პასუხისმგებლობა და კონტროლი სამეცნიერო ხარისხების დაცვის საქმეში.

ძირეულად გადახალისდა. უნივერსიტეტის გამომცემლობა, ბოლო მოეღო უგეგმობას და უკონტროლობას, შექმნილია ავტორიტეტული სარედაქციო საბჭო, დაწესდა ქმედითი კონტროლი სამეცნიერო პროდუქციის გამოქვეყნების პრაქტიკაში, მნიშვნელოვნად ამაღლდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დონე.

მართალია, უკანასკნელ წლებში უნივერსიტეტში თვალსაჩინო მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები დაიწერა, მაგრამ ამ მიმართულებით დღემდე ძლიერ ცოტაა გაკეთებული. ჩვენმა პროფესორ-მასწავლებლებმა ჯერჯერობით ვერ შექმნეს ფრიად მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოები მეცნიერების სხვადასხვა დარგში, რომლებიც მწვავედ ესაჭიროება ჩვენს სტუდენტებს. უნივერსიტეტის მეცნიერმა მუშაკებმა გადაწყვიტეს უმოკლეს ვადაში დაამუშაონ საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურის ისტორიის, ენის ისტორიის, საქართველოს ეკონომიური გეოგრაფიის, ფიზიკური გეოგრაფიის, ხელოვნების ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და მთელი რიგი სხვა სახელმძღვანელოები.

უნივერსიტეტის კოლექტივს კარგად ესმის, რომ იგი პასუხს აგებს პარტიისა და ხალხის წინაშე არა მარტო სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის წამყვანი კადრების მომზადებისა და აღზრდისათვის, არამედ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ამაღლებისთვისაც. უმაღლესი სკოლის მასწავლებლის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს სისტემატურად იზრუნოს მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი გამდიდრებისათვის. ასეთი მუშაობა წარმოადგენს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების აუცილებელ პირობას.

უნივერსიტეტის კოლექტივი მტკიცედ იბრძვის იმისათვის, რომ თვითეული პროფესორი, დოცენტი, ასისტენტი, ლაბორანტი განუწყვეტლივ აწარმოებდეს კვლევითს მუშაობას ლაბორატორიაში, კაბინეტებში, წარმოებაში. ჩვენ ვცდილობთ მივაღწიოთ იმას, რომ თვითეულმა მკვლევარმა თავისი მუშაობა მჭიდროდ დაუკავშიროს კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას, დავამუშაოთ ისეთი თემატიკა, რომელიც თავისი ხარისხით და აქტუალობით უპასუხებს ჩვენი ცხოვრებისა და მოწინავე მეცნიერების დონესა და მოთხოვნილებას.

უნივერსიტეტის ფაკულტეტებმა და კათედრებმა სასწავლო წლის განმავლობაში რამდენჯერმე მოაწყეს რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისადმი მიძღვნილი საჯარო სხდომები მეცნიერული მოხსენებებით. ამ თემას უნივერსიტეტმა რამდენიმე დაბეჭდილი შრომა მიუძღვნა.

უნივერსიტეტის მეცნიერული პერსონალი არ ზღუდავს თავის ამოცანებს სტუდენტებისათვის მზამზარეული ცოდნის მიწოდებით. მან გადაწყვიტა ფართოდ მოიზიდოს და ჩაებას მეცნიერულ მუშაობაში სტუდენტობა, ხელი შეუწყოს, დაეხმაროს მათ საკვლევი მუშაობის თანამედროვე მეთოდების დაუფლებაში, აღუძრას, გაუღვიძოს მოსწავლე ახალგაზრდობას ღრმა სიყვარული მეცნიერებისადმი. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სტუდენტებმა უნივერსიტეტში სწავლის დროს შეიმუშაონ ნოვატორობის, დამოუკიდებელი მეცნიერული კვლევა-ძიების მტკიცე ჩვევები.

უნივერსიტეტის სტუდენტთა აკადემიური სიმწიფე და მეცნიერული მომზადების მაღალი დონე ბრწყინვალედ აისახა სტუდენტთა XVI სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა საკავშირო ალკე XII ყრილობას და რომლის მუშაობამ ორ კვირამდე გასტანა. კონფერენციაზე გაკეთდა 250-მდე კარგი მეცნიერული მოხსენება, რომლებმაც ცხოველი ინტერესი გამოიწვიეს ქრავალრიცხოვან დამსწრეთა შორის და სპეციალისტების მაღალი მოწონება დაიმსახურეს. სტუდენტთა კონფერენცია მომდინარე წელს გადაიქცა მომძლე უნივერსიტეტების სტუდენტთა დაახლოებისა და მეგობრობის შესანიშნავ დემონსტრაციად.

უმაღლესი სკოლა მოწოდებულია აღზარდოს არა მარტო განათლებული ახალგაზრდობა, არამედ ჯანსაღი, ხალისიანი და სიცოცხლის მოყვარული თაობა. ჩვენი კოლექტივი დიდ ყურადღებას უთმობს სტუდენტების მხატვრულ და ფიზიკურ აღზრდას, დაუღალავად ზრუნავს მისი ჯანსაღი და კულტურული დასვენებისათვის. ქრავალრიცხოვან სამეცნიერო წრეებთან და სექციებთან ერთად უნივერსიტეტში წარმატებით მუშაობს ათობით მხატვრული თვითმოქმედი წრე.

განვლილი სასწავლო წელი აღინიშნა უნივერსიტეტის სპორტსმენთა მთელი რიგი ბრწყინვალე გამარჯვებებით როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო მასშტაბის ასპარეზობაზე. ახლახან დასრულებულმა მორიგმა საუნივერსიტეტო სპარტაკიადამ შესანიშნავი ფურცელი ჩაწერა უნივერსიტეტის სასპორტო ცხოვრების ისტორიაში. სპარტაკიადამ კვლავ გამოავლინა სტუდენტთა შესანიშნავი მიღწევები სპორტის მრავალფეროვან სახეებში.

* * *

განვლილი სასწავლო წლის შეჯამებასთან ერთად უნივერსიტეტის კოლექტივი შეუდგა მზადებას ახალი სასწავლო წლისათვის. ჩვენს წინაშე ფრიად დიდი და პასუხსაგები ამოცანები დგას. მომავალი სასწავლო წლისათვის უნივერსიტეტში უნდა ჩაირიცხოს ათასამდე ახალგაზრდა. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, მთელი მისი კოლექტივი ვალდებული არიან კარგად გაითვალისწინონ განვლილი მისადები გამოცდების დროს დაშვებული სერიოზული შეცდომები და უზრუნველყონ უნივერსიტეტის სათანადო კონტინგენტით შევსება.

გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ თვითდინებაზე დაყრების ტენდენციებს, რაც გამომდინარეობს იმ ყალბი წარმოდგენიდან, შემსვლელები თითქოს თავისთავად „მოზღვავდებიან“ და კონკურსი ისეც დიდი იქნებაო. არ უნდა დავიწყოთ, რომ უმაღლეს სკოლაში ახალი მიღების ორგანიზაცია დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა და თვითე

საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი

ჟენევა, 10 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ვ. მ. მოლოტოვის თავმჯდომარეობით გაიმართა საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირის მორიგი სხდომა, რომელიც მიეძღვნა ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საკითხის განხილვას.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა ფამ ვან დონგმა პირველმა აიღო სიტყვა და თვისი მთავრობის სახელით განაცხადა, რომ მზად არის ნება დართოს მოახდინონ ევაკუაცია საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსის შემადგენლობიდან იმ მძიმედ დაჭრილებისა, რომელნიც ტყვედ ჩავარდნენ დიენ-ბიენ-ფუში.

„ეყრდნობა რა თავის ჰუმანურ პოლიტიკას, რომელსაც იგი მუდამ ახორციელებდა ამ ომის განმავლობაში, კერძოდ დაჭრილთა და ტყვეთა მიმართ, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მზად არის ნება დართოს მოახდინონ ევაკუაცია საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსის მძიმედ დაჭრილებისა, რომლებიც ტყვედ ჩავარდნენ დიენ-ბიენ-ფუში.

თუ საფრანგეთის მთავრობა მზად არის მოახდინოს ამ დაჭრილთა ევაკუაცია, ორივე სარდლობის წარმომადგენლები ადგილზე მიიღებენ პრაქტიკულ ღონისძიებებს ამ ევაკუაციის განსახორციელებლად“.

ნაცვლად იმისა, რომ ნათელი პასუხი გაეცა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ამ კონკრეტულ წინადადებაზე, ბაო დაის ვიეტნამის წარმომადგენელმა ნგუენ კუოკ დინმა დაიწყო ლაპარაკი თავის წერილზე, რომელიც, როგორც მან განაცხადა, გაგზავნა დღეანდელი სხდომის თავმჯდომარის სახელზე და რომელიც სამხედრო ტყვეთა საკითხს ეხება.

თავმჯდომარემ ვ. მ. მოლოტოვმა ნგუენ კუოკ დინის ამ გამოსვლასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მისი წერილი მიღებული იყო უკანასკნელ მომენტში, სხდომის გახსნის წინ, და ითარგმნება. მე ჯერ არ გამიცანით ამ წერილის შინაარსი, თქვა ვ. მ. მოლოტოვმა, და ის, რაც იქ წერია, ვიცი მხოლოდ იმ დელეგატის სიტყვებით, რომელმაც ეს არის ილაპარაკა.

ვ. მ. მოლოტოვმა, როგორც თავმჯდომარემ, განაცხადა, რომ იმ შეთანხმების მიხედვით, რომელიც წინა სხდომაზე იქნა მიღწეული, მან პირველი სიტყვა მისცა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელს.

ვფიქრობ, განაცხადა ვ. მ. მოლოტოვმა, რომ გამოვთქვამ თათბირის მონაწილეთა აზრს, თუ გამოვხატავ კმაყოფილებას იმის გამო, რაც ეს არის ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა განაცხადა. ეს ჰუმანური აქტი მძიმედ დაჭრილი ფრანგი სამხედრო ტყვეების მიმართ, უეჭველია, შეამსუბუქებს მათს მდგომარეობას და შეესაბამება ჩვენს საერთო გრძნობებს.

შემდეგ ვ. მ. მოლოტოვმა რწმენა გამოთქვა, რომ დაინტერესებული მხარეები ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წინადადებასთან დაკავშირებით გადადგამენ სათანადო ნაბიჯებს.

ამის შემდეგ სიტყვა აიღო ბიდომ. შეეხო რა წინადადებას, რომელიც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა შეიტანა მძიმედ დაჭრილი სამხედრო ტყვეების საკითხზე, ბიდო დადებითად შეხვდა ამ წინადადებას, მაგრამ იქვე მოიხსენია ბაო დაის წარმომადგენლის წერილი, თუმცა ამ წერილის შინაარსი თათბირის მონაწილეებისათვის, არსებითად, ცნობილი არ იყო.

შემდეგ თავმჯდომარემ ვ. მ. მოლოტოვმა სიტყვა მისცა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურს ფამ ვან დონგს.

თავის განცხადებაში, რომელიც თათბირის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს, ფამ ვან დონგმა ჩამოაყალიბა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხისა და მთავრობის პოზიცია ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საკითხში.

ფამ ვან დონგმა დაახასიათა ინდოჩინეთის ამბების განვითარების მიმდინარეობა იაპონელთა ოკუპაციის პირველი დღიდან, როცა ვიეტნამელი ხალხი, რომელიც მეიდროდ დაირაზმა ვიეტნამის დამოუკიდებლობის ლიგის გარშემო მსოფლიოს იმ ხალხებთან მჭიდრო თანამშრომლობით, რომელნიც გიგანტურ ბრძოლას ეწეოდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ, ამხედრდა შეიარაღებული ბრძოლისათვის იაპონელი დამპყრობლებისა და მათი ლაქიების: ფრანგი, — ხოლო შემდეგ ვიეტნამელი ლაქიების წინააღმდეგ, რომელნიც თანმიმდევრულად ცვლიდნენ ერთმანეთს. ვიეტნამელი ხალხის საყოველთაო აჯანყება დამთავრდა 1945 წელს უცხოთის ბატონობის რეჟიმის დამხობით და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნით. ფამ ვან დონგმა მოიყვანა დოკუმენტები, რომლებიც იმას მოწმობენ, რომ იმპერატორმა ბაო დამ, რომელიც ტახტიდან გადადგა, უსარგებლოდ ცნო თავისი მეფობა, და რომ საფრანგეთის მთავრობამ, რომელიც დარწმუნდა, რომ მის წინაშე მთელი ვიეტნამელი ხალხია, რომელსაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაიცვას თავისი დამოუკიდებლობა, აღიარა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც თავისუფალი სახელმწიფო, რომელსაც ჰყავს თავისი მთავრობა, თავისი პარლამენტი, თავისი არმია და აქვს თავისი ფინანსები, ხელი მოწერა ამის შესახებ 1946 წლის 6 მარტს შეთანხმებას ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან და ვალდებულება იკისრა ამ შეთანხმებით შეეწყვიტა 1945 წლის 23 სექტემბერს დაწყებული საომარი მოქმედება.

შემდეგ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის განცხადებაში მოყვანილია ფაქტები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ფრანგი კოლონიზატორებისათვის 1946 წლის 6 მარტის შეთანხმება მხოლოდ საშუალებაა მტაცებლური პოლიტიკის განგრძობისა და საომარი მოქმედების გაფართოებისათვის, მიუხედავად ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ყველა ცდისა — აღდგინოს მშვიდობა მოლაპარაკების გზით. ამის გამო ომი ყველა ფრონტზე უფრო ინტენსიური და უფრო სასტიკი ხდებოდა და თანდათან იქმნებოდა უფრო ხელსაყრელი პირობები ვიეტნამისათვის. სწორედ მაშინ, ნათქვამია განცხადებაში, დაიწყო ამერიკელი იმპერიალისტების ჩარევა ინდოჩინეთის ომში.

ეყრდნობოდა რა ფაქტებსა და დოკუმენტებს, ფამ ვან დონგმა თავის განცხადებაში ცხადყო, რომ ინდოჩინეთის ომში ჩარევით ამერიკის იმპერიალიზმი მიზნად ისახავს ფრანგების განდევნას ინდოჩინეთიდან, ინდოჩინეთის გადაქცევას ამერიკის კოლონიად და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნების დასაპყრობ ტრამპლინად. ამერიკელი ინტერვენტები და ომის ბოლომდე წარმოების მომხრე ფრანგები ამჟამად ქმნიან მთავარ დაბრკოლებას ინდოჩინეთში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენისათვის.

ფამ ვან დონგმა ცხადყო, რომ აგრესიის ეს პოლიტიკა ეწინააღმდეგება ვიეტნამის, კხმერისა და პატეტ-ლაოს ხალხთა ინტერესებს, აგრეთვე ფრანგი და ამერიკელი ხალხების ინტერესებს. ჩამოთვალა რა ვიეტნამის, კხმერისა და პატეტ-ლაოს ხალხთა წარმატებანი იმპერიალისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში, აგრეთვე პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობაში, ფამ ვან დონგმა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის სახელით შეიტანა წინადადებანი, რომელთა მიზანია ომის შეწყვეტა, მშვიდობის აღდგენა ეროვნულ უფლებათა საფუძველზე, რომლებიც ცნობილია ინდოჩინეთის ხალხებისათვის, და ინდოჩინეთის ქვეყნებისა და საფრანგეთის მეგობრული ურთიერთობის დამყარება.

თავისი განცხადების დასასრულს ფამ ვან დონგმა გააკეთა წინასწარი შენიშვნები საფრანგეთის დელეგაციის იმ წინადადებათა გამო, რომლებიც ბიდომ 8 მაისის სხდომაზე შეიტანა.

მას შემდეგ, რაც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა თავისი განცხადება დამთავრა, სიტყვა ითხოვა კამბოჯის წარმომადგენელმა. იგი არწმუნებდა თათბირის მონაწილეებს, რომ მისი დელეგაცია წარმოადგენს თითქოს დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოს. კხმერის ხალხის სახალხო-განმათავისუფლებელ მოძრაობას ეს ორატორი ხატავდა, როგორც თითქოს კხმერის ტერიტორიაზე შეჭრილი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის ნაწილების მოქმედებას. ეს უაზრო ზღაპარი კამბოჯის მთავრობის წარმომადგენელს, მთავრობისა, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს საფრანგეთის ხელისუფლებთან და მსხვერპლად მიაქვს კხმერის ხალხის ინტერესები უცხოელთა ინტერესებისათვის, იმისათვის დასჯირდა, რომ შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოებრივი აზრი ამ ქვეყანაში ნამდვილი მდგომარეობის შესახებ. ცნობილია, რომ მრავალი წლის განმავლობაში კხმერის ხალხი, ისევე როგორც ვიეტნამელი ხალხი, გმირულ ბრძოლას ეწეოდა მშვიდობისათვის, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისათვის, რომ ამ ბრძოლის პროცესში შეიქმნა კხმერის წინააღმდეგობის მთავრობა, რომლის ხელისუფლება გავრცელდა ეროვნული ტერიტორიის დიდ რაიონებზე.

კამბოჯის წარმომადგენელმა ცხადყო, თუ ნამდვილად ვის ემსახურება მისი მთავრობა, როცა შეიტანა წინადადება, რომელიც იმეორებს საფრანგეთის დელეგაციის შესაბამის წინადადებას რომლის მიზანია ფაქტიურად კხმერის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის განიარაღება.

კამბოჯის წარმომადგენლის წინადადებანი ითვალისწინებენ ამ განიარაღების განხორციელებას „ვიეტნამის ყველა რეგულარული და არარეგულარული ძალების სრული ევაკუაციის“ სახით, რომლებიც თითქოს „შეიჭრნენ ამ ქვეყანაში“, აგრეთვე იმ ელემენტების განიარაღების სახით, რომლებიც არ ეკუთვნიან არც არმიას, არც წესრიგის დაცვის ძალებს“.

შემდეგ სიტყვა აიღო ლაოსის წარმომადგენელმა. მან დახატა პატეტ-ლაოს მდგომარეობის ისეთივე ყალბი ფაქტების საწინააღმდეგო სურათი, როგორიც მასზე ადრე დახატა მისმა კამბოჯელმა კოლეგამ კხმერის მიმართ. ილაპარაკა რა ლაოსის მთავრობის მოქმედებაზე, რომლის მიზანია ჩაახშოს პატეტ-ლაოს ხალხის სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ამ ორატორმა ცინიკურად განაცხადა, რომ ამ თავის მოქმედებაში მისი მთავრობა ემყარება საფრანგეთის შეიარაღებული ძალების დახმარებას.

ლაოსის წარმომადგენელმა შეიტანა წინადადება, რომელიც ემთხვევა ბიდოს შესაბამის წინადადებას და რომლის მიზანია პატეტ-ლაოს ხალხის ყველა იმ მიღწევის ლიკვიდაცია, რომლებიც მან მოიპოვა მშვიდობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გმირულ ბრძოლაში, და მისი სახალხო არმიის განიარაღება.

შემდეგ თავმჯდომარემ სიტყვა მისცა ინგლისის დელეგაციის მეთაურს ა. იდენს. მან განაცხადა, რომ დიდი ყურადღებით მოისმინა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლის განცხადება და რომ უფრო გვიან იგი, ისევე როგორც თათბირის სხვა მონაწილენი, დაწვრილებით გამოთქვამს აზრს ამ დელეგაციის წინადადებათა აზრსის შესახებ. იდენმა განაცხადა, რომ ამ სხდომაზე მას სურს დასჯერდეს ერთი-ორ წინასწარ შენიშვნას.

ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი მზად არის დაიჯეროს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლის განცხადება იმის შესახებ, რომ ეს მთავრობა წარმოადგენს თავისი ხალხის ეროვნულ მისწრაფებას. მაგრამ იგი შეეცადა უარეყო იმის სისწორე, რაც ნათქვამი იყო ფამ ვან დონგის განცხადებაში *ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკისა და მოქმედების ნამდვილი მიზნების შესახებ ინდოჩინეთის მიმართ. იდენი ამტკიცებდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „სარგებლობენ ძალით“ ვიეთომდა სხვა ქვეყნების დამოუკიდებლობის დასაცავად. იგი აგრეთვე ამტკიცებდა, თითქოს ლაოსისა და კამბოჯის წარმომადგენლებმა „საერთოდ პასუხი გასცეს იმ ბრალდებებზე, რომლებიც წამოყენებულია საფრანგეთის პოლიტიკის წინააღმდეგ და იმის წინააღმდეგ, რაც ფრანგებმა გააკეთეს ინდოჩინეთში“.

მაგრამ იდენმა აქვე თქვა, რომ იგი არ აპირებს განიხილოს იმის საკითხი, თუ „რომელი მხარეა მართალი და რომელი დამნაშავე“. მან აღნიშნა, რომ თათბირი შეიკრიბა არა ამისათვის, არამედ იმისათვის, რომ გამოინახოს ინდოჩინეთის საკითხის გადაწყვეტა. იდენმა გააცხადა, რომ მას ბიდოს მიერ შემოტანილი წინადადებანი მიაჩნია „კონსტრუქციულ ღონისძიებებად, რათა გამოინახოს გამოსავალი იმ მდგომარეობიდან, რომელიც ცნობილია მეტად ძნელ მდგომარეობად“. იდენმა აქვე დასძინა, რომ ბიდოს წინადადებანი, მისი აზრით, „მხოლოდ ზოგადი ნარკვევია, და მთელი რიგი დაწვრილებითი ცნობები უნდა გამოირკვეს შეთანხმების გზით“. მან თქვა, რომ, რამდენადაც ინდოჩინეთში არ არის ბრძოლის ნათლად მოხაზული ფრონტი და არ არის გარკვეული ხაზი, რომლზეც მეომარ ძალებს შეეძლოთ დარჩენილიყვნენ, „ომის უბრალო შეწყვეტა მიუღებელი და მას სრულიადაც არ მოჰყვება მშვიდობიანი მოწესრიგება“. იდენმა თქვა, რომ საჭიროა ღონისძიებათა მიღება, რათა გაიყოს მეომარი ძალები და გადაყვანილ იქნან ისინი განსაზღვრულ, ზუსტად დაწესებულ ზონებში, აგრეთვე უნდა ვიზრუნოთ, რომ დაცულ იქნას დროებითი ზავი.

დასასრულ იდენმა მოითხოვა, რომ თათბირის მონაწილეებმა შეისწავლონ ეს წინადადებანი მიმდინარე კვირის განმავლობაში და შეიმუშაონ მათ საფუძველზე დაწვრილებითი გეგმა.

ამის შემდეგ გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი სმიტი. მან კმაყოფილება გამოთქვა წინადადებით დიენ-ბიენ-ფუში მძიმედ დაჭრილთა ევაკუაციის შესახებ, რომელიც გააკეთა ამ სხდომის დასაწყისში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა ბიდომ, და მოითხოვა საფუძვლად დაედოს ისინი დისკუსიას. შეეხო რა საფრანგეთის წინადადებათა იმ ნაწილს, სადაც ლაპარაკია შეთანხმებათა გარანტიებზე ყენეკის თათბირის მონაწილეთა მიერ, სმიტმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დათანხმდებიან მონაწილეობა მიიღონ ამ გარანტიებში მხოლოდ მაშინ, როცა „შესაძლებელი იქნება უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ იმ შეთანხმებათა ხასიათი, რომლებიც გარანტირებულ უნდა იქნან“. სმიტმა კვლავ მოაგონა დამსწრეთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ემხრობიან იმ „კოლექტიურ ღონისძიებათა“ განხორციელებას ინდოჩინეთის მიმართ, რომლებითაც, როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატები გულისხმობენ ინდოჩინეთის საქმეებში შეიარაღებული ჩარევისთვის კოლონიურ სახელმწიფოთა სამხედრო ბლოკის შექმნას.

სხდომის დასასრულს ბაო დაის ვიეტნამის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისი დელეგაცია უახლოეს მომავალში თავის წინადადებებს წარმოადგენს განსახილველ საკითხზე. მან აგრეთვე განაცხადა, რომ მის დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია გაავრცელოს ის წინადადება, რომელიც შეეხება დიენ-ბიენ-ფუში მძიმედ დაჭრილთა ევაკუაციას, აგრეთვე ბაო დაის, ჯარის ნაწილების დაჭრილ ჯარისკაცებსა და ოფიცრებზე, თუმცა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურის განცხადებიდან ნათლად ჩანს ხანს, რომ საქმე ეხება საფრანგეთის არმიის შემადგენლობიდან ყველა მძიმედ დაჭრილის ევაკუაციას, მათი ეროვნების მიუხედავად. ბიდო დაეთანხმა ბაო დაის ვიეტნამის წარმომადგენლის ამ განცხადებას.

სხდომის დახურვის წინ თავმჯდომარემ ვ. მ. მოლოტოვმა რწმენა გამოთქვა, რომ თათბირის მონაწილენი მხედველობაში მიიღებენ შენიშვნებს, რომლებიც სხდომაზე ამ საკითხის შესახებ გამოითქვა.

ვიეტნამის სამხედრო საჩერებლის კომუნიკე დიენ-ბიენ-ფუსათვის ბრძოლაში საფრანგეთის ჯარების ზარალის შესახებ

შანხაი, 10 მაისი. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ დღეს გადასცა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სარდლობის კომუნიკე, რომელშიც აღნიშნულია, რომ ვიეტნამის სახალხო ჯარებმა მთლად გაანადგურეს მტერი დიენ-ბიენ-ფუს ფრონტზე და ვიეტნამის სახალხო არმიის ისტორიაში ყველაზე დიდი გამარჯვება მოიპოვეს.

ვიეტნამის სახალხო არმიის შეტევა საფრანგეთის გამაგრებული პოსტების წინააღმდეგ დიენ-ბიენ-ფუსთან, ნათქვამია კომუნიკეში, ფაქტიურად 1954 წლის 13 მარტს დაიწყო, როცა სახალხო ჯარებმა იერიში დაიწყეს მტრის პოსტების წინააღმდეგ დიენ-ბიენ-ფუს მიდამოებში. საფრანგეთის პოსტების ეს ჯგუფი, რომელიც ბევრად ძლიერი იყო მა-სანის პოზიციებზე, შედგებოდა იმ რაიონში განლაგებული 49 პოსტისაგან, რომელიც გადაჭიმულია 12 კილომეტრზე სიგრძით და 6 კილომეტრზე სიგანით. მოწინააღმდეგეს ჰქონდა აგრეთვე ორი დიდი აეროდრომი, რომლებზეც დაშვება შეეძლოთ მძიმე თვითმფრინავებს.

ვიეტნამის სახალხო არმიის შეტევა გრძელდებოდა 1954 წლის 13 მარტიდან 6 მაისამდე. არსებული ცნობების თანახმად, ვიეტნამის სახალხო ჯარებმა მოსპეს მტრის 17 ქვეითი და ავიასადესანტო ბატალიონი, 3 საარტილერიო დივიზიონი და რამდენიმე ჯავშანსატანკო, საინჟინრო, სატრანსპორტო, საავიაციო და სასანგრო ნაწილი — სულ 21 ბატალიონი და 10 ასეული, რომლებშიც საერთო რაოდენობით 16 ათასზე მეტი ჯარისკაცი ითვლებოდა.

მოწინააღმდეგის ჯარის რაოდენობა, რომელიც თავდაპირველად მონაწილეობას იღებდა თავდაცვაში, შეადგენდა 12 ქვეით და ავიასადესანტო ბატალიონს და სამ საარტილერიო დივიზიონს. ვიეტნამის სახალხო არმიის წარმატებითი ოპერაციების შემდეგ მოწინააღმდეგემ თავისი ჯარების საერთო რაოდენობა დიენ-ბიენ-ფუში 21 ბატალიონამდე და ათ ასეულამდე აიყვანა.

მოწინააღმდეგის მოკლულ, დაჭრილ ან ტყვედ წამოყვანილ ოფიცერთა შორის არიან: საფრანგეთის სიმაგრის მთელი სარდლობა, ცენტრალური, სამხრეთ და ჩრდილოეთ ქვესექტორების სამი სარდალი, სამი მობილური ჯგუფის სამივე სარდალი და ყველა ბატალიონის მეთაურები.

მტრის იმ თვითმფრინავების საერთო რაოდენობა, რომლებიც ვიეტნამის სახალხო არმიამ მოსპო ან ჩამოაგდო ფრონტის ამ უბანზე, შეადგენს 62 ერთეულს. მოსპობილ თვითმფრინავთა შორის არის მძიმე ბომბდამშენები „ბ-24“, „ბ-26“, მძიმე სატრანსპორტო თვითმფრინავები „ს-119“, „ჰელდიეერის“ ტიპის ავიაგამანადგურებლები, რომლებიც ამერიკელმა ინტერვენტებმა ფრანგ კოლონიზატორებს გადასცეს.

გარდა ამისა, ვიეტნამის სახალხო არმიამ ხელთ იგდო მოწინააღმდეგის მთელი საჭურველი, საომარი მასალა, ავტომანქანები და ყველა საწყობი საომარმასალიანად და სამხედროსაჭურვლიანად. წამოღებული პარაშუტების რაოდენობა 30 ათას ცალს აღწევს.

კომუნიკე საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის სესიის შესახებ

აპრილში მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის საბჭოთა კავშირ-უნგრეთის კომისიის სესია.

სესიაზე განხილულ იქნა ქვეყნებს შორის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის მორიგი საკითხები და მიღებულ იქნა ახალი ურთიერთვალდებულებანი.

მხარეთა ხელმოწერილი ოქმის შესაბამისად საბჭოთა კავშირი მიიღებს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალისტებს სსრ კავშირის მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებისა და სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მუშაობის გამოცდილების გასაცნობად, აგრეთვე მიავლინებს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში სპეციალისტებს ტექნიკური დახმარების გასაწევად ადგილზე.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა თავის მხრივ შესაძლებლობას მისცემს საბჭოთა სპეციალისტებს გაეცნონ უნგრეთის მრეწველობის საწარმოო გამოცდილებას.

მხარეები მიაწვდიან ერთმანეთს საპროექტო და ტექნიკურ დოკუმენტაციას სამრეწველო ობიექტების კაპიტალურ მშენებლობაზე, სამრეწველო პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებზე და დოკუმენტაციას ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე.

სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის პრინციპების შესაბამისად მეცნიერულ-ტექნიკური დახმარების აღმოჩენა, აგრეთვე ტექნიკური დოკუმენტაციის გადაცემა უსასყიდლოდ ხდება.

პარაღი პრაღაში საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების მე-9 წლისთავის გამო

პრაღა, 9 მაისი. (საკდესი). დღეს პრაღაში საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების მე-9 წლისთავის გამო გაიმართა სამხედრო პარადი. ტრიბუნაზე იყვნენ რესპუბლიკის პრეზიდენტი შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი ანტონინ ზაპოტოცკი, მთავრობის წევრები პრემიერ-მინისტრ ვილიამ შიროკის მეთაურობით. სტუმართა ტრიბუნაზე იყვნენ სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში ნ. პ. ფირიუბინი და დიპლომატიური კორპუსის სხვა წევრები.

ანტონინ ზაპოტოცკიმ ჯარებს მიმართა და თქვა:

დღეს ჩვენი არმიის სახმელეთო და საჰაერო შეიარაღებული ძალები სასაზღვრო და შინაგანი დაცვის ნაწილებთან და სახალხო მილიციასთან ერთად მთელი ჩვენი ხალხის წინაშე ცხადყოფენ თავიანთ ერთგულებას ჩვენი განმათავისუფლებლის, მოკავშირისა და მეგობრის — დიდი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისადმი.

ჩვენ ყველამ ვიცით, რომ თუ ის გმირული გამარჯვება არ ყოფილიყო, რომელიც სახელოვანმა საბჭოთა არმიამ მოიპოვა ჰიტლერელ ფაშისტთა ურდოებზე, არ იქნებოდა არც ჩვენს სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის დღევანდელი მშენებლობა. ჩვენი ხალხის ხსოვნაში არ აღმოიფხვრება 1945 წლის 9 მაისის დღე... საბჭოთა კავშირი გახდა არა მარტო ჩვენი განმათავისუფლებელი, არამედ ნამდვილი მოკავშირე და მეგობარიც.

საბჭოთა კავშირი და მისი ხალხი, თქვა ზაპოტოცკიმ, ჩეხოსლოვაკიის ხალხისათვის მაგალითი გახდნენ სოციალიზმის მშენებლობაში.

ზაპოტოცკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიის ხალხს სურს მშვიდობიანად იცხოვროს ყველა ხალხთან.

ჩვენ მხარს ვუჭერთ ყველა სამშვიდობო წამოწყებას, განაცხადა შემდეგ ზაპოტოცკიმ, და გვახარებს, რომ საერთაშორისო დაძაბულობა, რომელიც იმპერიალისტურმა წრეებმა შექმნეს და მხარს უჭერენ, უკანასკნელ დროს ნელდება საბჭოთა კავშირის ღონისძიებათა მეოხებით. მუქარისა და ინტერვენციების პოლიტიკას ცვლის მსჯელობისა და კონფერენციების პოლიტიკა, რომლებზეც ეძიებენ სადავო საკითხების მშვიდობიანი გადაჭრის გზებს.

ზაპოტოცკიმ თავისი სიტყვის დასასრულს გამარჯვება უსურვა ჩეხოსლოვაკიის ხალხის სამარადისო მეგობრობას დიდ საბჭოთა ხალხთან.

დღეს სამხედრო პარადები გაიმართა აგრეთვე ბრატისლავასა და პლზენში.

დალესის გამოსვლა ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 8 მაისი. (საკდესი). 7 მაისს საღამოს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დალესმა რადიოთი წარმოთქვა სიტყვა, რომელიც მიუძღვნა ამერიკის მთავრობის პოლიტიკას აზიაში.

შეეხო რა კორეის საკითხის განხილვას ჟენევის თათბირზე, სახელმწიფო მდივანმა კვლავ განაცხადა, რომ შეერთებული შტატები უარყოფენ კორეის გაერთიანების პროგრამას, რომელიც თათბირზე წამოაყენა კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ და რომელსაც მხარი დაუჭირეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ და საბჭოთა კავშირმა.

თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი დალესმა მიუძღვნა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის გამართლებას.

ჩამოაყალიბა რა ამერიკის გეგმები აზიაში, სახელმწიფო მდივანი ამტკიცებდა, რომ „ამ რაიონს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს შეერთებული შტატებისათვის“. მან აგრძნობინა მსმენელებს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ განაგრძონ თავიანთი ცდა — შექმნან აქ „კოლექტიური თავდაცვის“ სისტემის სახით სამხედრო აგრესიული ბლოკი.

დალესმა უარყო პრინციპი „აზიის აზიელებისათვის“, რომელიც ამჟამად ლოზუნგია აზიის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა იმპერიალისტური კოლონიური სახელმწიფოების წინააღმდეგ.

თბილისი

ყოველდღიურად ათასობით ცალი გაზეთი და ჟურნალი იყიდება სოიუზპეჩატის თბილისის კიოსკებში. სურათზე: სოიუზპეჩატის კიოსკში მოვიდა ახალი გაზეთები.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

უცხოელი სტუმრები თბილისში

11 მაისს თბილისს ჩამოვიდა ბოლივიის მშვიდობის მომხრეთა დელეგაცია. აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებისა და ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

დელეგაცია გაეცნობა ქართველი ხალხის ცხოვრებასა და კულტურას.

• • •

ვუშინ, 11 მაისს, თბილისს ჩამოვიდა დასავლეთ გერმანიის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, დასავლეთ გერმანიის მშვიდობის მომხრეთა კომიტეტის თავმჯდომარე ვილჰელმ ელფეს.

აეროდრომზე ვილჰელმ ელფეს შეხვდნენ საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტისა და უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების წარმომადგენლები. (საკდესი).

ქალაქის ქრონიკა

„გრგვინავ ხმელნიცელი“ ბოლოს-თბილისელ

ამ დღეებში თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრმა მაყურებელს უჩვენა უკრაინელი კომპოზიტორის კ. დანკევიჩის ახალი ოპერა „ბოგდან ხმელნიცკი“. ლიბრეტო ეკუთვნის მწერლებს ვ. ვასილევსკაიასა და ა. კორნეიჩუკს.

ოპერა „ბოგდან ხმელნიცკი“ დადგა უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტმა დ. სმოლიჩმა, მხატვრულად გაფორმა უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ პ. ზლოჩევსკიმ, დირიჟორია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ო. დიმიტრიადი, ცეკვები დადგა საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ზ. კიკალეიშვილმა.

მთავარ როლებს ასრულებდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ბ. ამირანაშვილი (ბოგდან ხმელნიცკი), საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი დ. მუხედლიძე (კრივონოსი), რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნ. ბელაქნელი (ბოგუნი), რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნ. ხარაძე (ელენე), ლ. გიორგაძე (სოლომია), თ. ორჯონიკიძე (ვარვარა) და სხვ.

ახალი სპექტაკლი

თბილისის გრიბოედოვის სახელობის თეატრმა 11 მაისს მაყურებელს უჩვენა ახალი სპექტაკლი — ი. იანოვსკის პიესა „პროკურორის ქალიშვილი“.

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის რეჟისორ მ. ოლშანიცკაიას, მხატვრული გაფორმება — ე. დონცოვას. როლებს ასრულებენ სახალხო არტისტები ე. სატინა და დ. სლავინი, დამსახურებული არტისტები ბ. ბელეცკაია, ვ. ზახაროვა, ი. მაქსიმოვა, კ. იანოვსკაია, ა. ნირვანოვი, ი. ზლობინი, მსახიობები ე. პოგოდინა, ა. მარკოვა, გ. ვოლინეცი, ე. კერკენეზეჩი, ნ. ზელიონი, ი. ტროიანოვი და სხვ.

შეხვედრა მხცოვან კინოოპერატორთან

ხელოვნების მუშაკთა სახლში თბილისის კინოსტუდია „ქართული ფილმის“ შემოქმედებითმა სექციამ და ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგეობამ მოაწყეს შეხვედრა მხცოვან კინოოპერატორ ვასილ ამაშუკელთან.

შეხვედრაზე ვ. ამაშუკელის მოღვაწეობის შესახებ ვრცელი მოხსენება წაიკითხა კინოდრამატურგმა კ. გოგოძემ.

დასასრულ ნაჩვენები იქნა დოკუმენტალური ფილმი „ალაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 1912 წელს“, რომლის ოპერატორია ვ. ამაშუკელი.

რედაქტორის მოადგილე
რ. ძურაბიკიძე.

სპორტის ამბები

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

„ა“ კლასი

მოსკოვი. 11 მაისი. „სტალინეცის“ სტ